ნომერში:

საპატრიარქო ლექსი	3
საადღესასწაულო ეპისტოლე	4-7
14 აპრილი - ქართული ენის დღე	8-9
ქსელში გაბმული	10-12
ძველი თბილისის ზამანებანი გუძორნის პირას	13-18
გასაღასგადასული სტუმარ-მასპინძლობა	19-20
გიორგი შავგულიძის გახსენება	21-23
მოხევის საღვთაგრძელო	23-25
ომის სხვა სახე	26
მსსნელი	27
ღვედის ხელები	28-29
გეორგიის ქართული საოთვისტომოს თასი	29
...და ქრისტე აღსდგა მაშინ ჩემს გულში	30

საჯირვეცვეარდი ლეჭარ

ღლე ღვეჭა უცუკი და უჩკვეკი
ძეწაძულ ჭილიკჭე ვღვეჭი
ვაჩუკოთ ეთთქანეთს ნიცოცხლე
ვაკუთჭოთ ეთთქანეთს ძვლეჭი.

თკვენს ლაქაზ ფიკრეჭში ვიჯრეჭი,
თკვენს ნაჩკქელს ვანუღეჭი თოთოლვით,
ვაჩუკოთ ეთთქანეთს წვიქეჭი,
ვაჩუკოთ ეთთქანეთს თოვლი.

უველას ნიუვაჩულში ეიცუღეჭით,
ელოცავთ და ჭიქრეჭა უელი,
ვაჩუკოთ ეთთქანეთს ციცეჭი
ვაჩუკოთ ეთთქანეთს ცრექლი!

ვაკუკოთ ეთთქანეთს უკლეჭლიკ,
ჩაკჯიღოთ ეთთქანეთს ხელი –
ავუკნოთ ეთთქანეთს ეულეჭი
ნიურქის და ნიცოცხლის ოწქენით.

ვკოვოთ ეთთქანეთი ღვთის ნეჭით,
ნიცუკა ვაქოვნახოთ თჭილი –
ლეცვით ქიქოვკანცოთ ნილლეჭი,
ფაოლ ავეფაოთ თჭილიკკ!

ავუნთოთ ეთთქანეთს ნანთლეჭი,
ქეკუწუოთ ეთთქანეთს ხქეჭი –
ვაჩუკოთ ეთთქანეთს ზლაკრეჭი,
ვაჩუკოთ ეთთქანეთს წლეჭი.

ო, ნიკნლო, რა უცკეჭ წუალღეჭი,
ო, ეულო, რა უცკეჭ თვრეჭი,
ვაჩუკოთ ეთთქანეთს თვალეჭი,
ვაჩუკოთ ეთთქანეთს ფეთეჭი.

ხოთნს ცხელი ნიქლეთით ვილადთავ,
ვფხიზლოჭ და ვჩუოჩულეჭ– ავქინ!
ღავუთქოთ ეთთქანეთს ღილა და
ღავუთქოთ ეთთქანეთს ლაქე!

ქოთის ფოცხიქვილი
1989 წელი

საღდგომო ეპისტოლე

უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის ილია II

ყოვლადსამღვდელონო მღვდელმთავარნო, ღირსნო მოძღვარნო, დიაკონნო, ბერ-მონოზონნო, ყოველნო მკვიდრნო ღვთივკურთხეული ივერიის მიწისა და დროებით ჩვენი ქვეყნის საზღვრებს გარეთ მცხოვრებნო ჩვენო ძვირფასო თანამემამულენო!

ქრისტე აღდგა!

მაშ, მტკიცედ იდექით თავისუფლებით, რომლითაც ქრისტემ გაგვათავისუფლა და კვლავ ნუღა დაიდგამთ მონობის უღელს (გალატ. 5.1).

ქრისტე აღდგა!

სადა არს სიკვდილო საწერტელი შენი?!

ქრისტე აღდგა!

სადა არს ჯოჯოხეთო ძლევაი შენი?!

დღეს ზეიმობს ცა და ქვეყანა, ხარობენ კაცნი და ანგელოზთა დასნი; „ჩვენც შევიდეთ სახლსა უფლისასა... და ყოველნივე ვიშვებდეთ სერითა მით სარწმუნოებისათა“ (წმ. იოანე ოქროპირი)

მაინც რა არის ჩვენი ასეთი სიხარულის მიზეზი, რატომაა პასექი დღესასწაულთა დღესასწაული?!

მთელი კოსმოსის, ხილული და უხილავი სამყაროს შემომქმედი და სიცოცხლის ერთადერთი საწყისი არის ყოვლადწმიდა სამება. მასში, მასთან და მისით არსებობს ყოველი. იგია მარადიული, უცვალებელი და უძრავი. დანარჩენი ყველაფერი ცოცხალი კი ვითარდება, მოძრაობს და დაუსრულებლად მიისწრაფვის მისკენ.

ადამისა და ევას ცოდვით დაცემის გამო მთელი კოსმოსი ხრწნილებას დაექვემდებარა და სამყაროში შემოვიდა სიკვდილი. „როგორც ერთი კაცის მიერ შემოვიდა ცოდვა ამ ქვეყნად, და ცოდვის მიერ — სიკვდილი, ისე სიკვდილიც გადავიდა ყველა კაცში მის მიერ “ (რომ. 5.12) ძველი აღთქმის წმიდა და მართალი ადამიანებიც გარდაცვალების შემდეგ სამოთხეში ვერ შედიოდნენ, რადგან მემკვიდრეობით მიღებული პირველქმნილი ცოდვით დამძიმებულნი ღვთის წიაღისთვის შეუფერებელნი იყვნენ. ასე რომ, ყველასთვის დაიხშო სასუფევლის კარი.

უფლის სამართალი და კანონზომიერება ითხოვდა, რომ ამ ცოდვის საპირწონე გამოსასყიდი ისევ ადამიანს აღესრულებინა; ხოლო რადგან კაცთა შორის და, ზოგადად, ქმნილებათა შორის, ასეთი არავინ იყო და ვერც გამოჩნდებოდა, გმინავდა სამყარო, ჯოჯოხეთი და სიკვდილი კი ზეიმობდა.

და აი, აღესრულა წარმოუდგენელი და ჩვენი გონებისათვის მიუწვდომელი საიდუმლო, — კაცობრივი ხორცი შეისხა ყოვლადწმიდა სამების მეორე ჰიპოსტასმა, — ძე ღვთისამ და ბეთლემს ბაგასა შინა მოევლინა წუთისოფელს, რომ თვითონ უცოდველს ეტვირთა ჩვენი ცოდვები, დაემარცხებინა ბოროტი ძალები და ჩვენთვის კვლავ მარადიული ნეტარება მოენიჭებინა. „სიტყვა განკაცდა, რათა ჩვენ განვღმრთობილიყავით“ (წმ. ათანასე დიდი).

ამქვეყნად უფალი ჩვეულებრივი ადამიანივით მოქმედებდა; ამიტომაც სრულად არავინ იცოდა ვინ იყო იგი. ეშმაკი მხოლოდ წმინდანს და ღვთის რჩეულს ხედავდა მასში; უდაბნოში გასულ იესოს მან გამოცდა მოუწყო და პირველი დამარცხებაც იწვნია.

მაცხოვარი შემდეგ უკვე თვითონ დევნის ეშმაკს, კურნავს შეპყრობილებს, დავრდომილებსა და კეთროვნებს, თვალს უხელს ბრმებს, აღადგენს მკვდრებს. ბოროტი სული შეძრწუნებულია და გრძნობს, რომ ადვილად ვერ მოერევა მას. ამიტომაც მისი ნებისადმი ნებაყოფლობით დამორჩილებულ და გაუკეთურებულ ადამიანებს იყენებს თავისი მიზნის განსახორციელებლად.

და აი, იუდა, სინედრიონი, პილატეს სამსჯავრო, ჯვარცმა და ძე კაცისას ადამიანური ტკივილით სავსე უკანასკნელი აღმონათქვამი: „ელი, ელი, ლამა საბაქთანი“, „უფალო, უფალო, რაისათვის დამიტევე მე”.

თითქოს აღსრულდა ფარისეველთა და ჯოჯოხეთის ძალთა წადილი, — მოკვდა იესო; მისი სული და სხეული ერთმანეთს განეშორა, მაგრამ სწორედ ამ დროს მოხდა უმთავრესი და უმნიშვნელოვანესი მოვლენა, — ქვესკნელში შთავიდა სამყაროს შემომქმედი! ეშმაკი ჰგონებდა, რომ სხვა ადამიანთა მსგავსად შთანთქავდა ჯვარცმულ იესოს, მაგრამ თავად აღმოჩნდა ძლეული. ქრისტე მაცხოვარმა, რომელშიც საღვთო ბუნება ადამიანურ ბუნებასთან იყო შეერთებული, შემუსრა ჯოჯოხეთის ბჭენი, დაამხო მისი ძლიერება, დათრგუნა სიკვდილი და იქ მყოფი მართალთა სულნი ცათა სასუფეველში აიყვანა.

ქრისტემ „ძლევაი საკვირველი“ მოიმოქმედა. ეშმაკს ყოვლითურთ სძლია და ადამიანს მიანიჭა სიკვდილზე გამარჯვების შესაძლებლობა, მაგრამ იგი ყველამ პიროვნულად უნდა მოიპოვოს.

გავიხსენოთ უფლის სიტყვები: „მამაო, განადიდე ძე შენი, რათა ძემანცა შენმან გადიდოს შენ. რაკი მიეცი

ხელმწიფება ყველა ხორციელზე..., მისცეს საუკუნო სიცოცხლე“ (იოანე 17,1,2).
ამიტომაცაა ეს დღე კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე მნიშვნელოვანი დღესასწაული ჩვენთვის და საერთოდ, ქრისტიანული სამყაროსათვის.
მკვდრეთით აღდგომილი უფალი სულიწმიდის გარდამოსვლისას აფუძნებს წმიდა ეკლესიას — თავის მისტიკურ სხეულს, რომლის ერთი ნაწილი ცხონებაში მყოფ მართალთა სულებისაგან შედგება და მას მოზეიმე ეკლესია ჰქვია, ხოლო მეორე ნაწილი ამ ქვეყნად მცხოვრებ ქრისტიანთა კრებულს წარმოადგენს და მებრძოლი ეკლესია ეწოდება, რადგან თითოეულმა მისმა წევრმა ცოდვასთან ბრძოლით უნდა მოიპოვოს გადარჩენა და მარადიული სიცოცხლე.
,,სასუფეველი ცათა იიძულების” — ბრძანებს სახარება. ეს ბრძოლა, უპირველეს ყოვლისა, საკუთარ თავთან გვმართებს, — ჩვენს ეგოიზმთან და ამპარტავნებასთან, რაც არის ყველაზე დიდი და საშიში ნესტარი ჩვენი სულისა. ჩვენი გული, რომელიც სავსეა ცოდვით და ცოდვითი მიდრეკილებებით, ჭუჭყისგან უნდა გავათავისუფლოთ და დავუბრუნდეთ საკუთარ თავს, — ჩვენს ნამდვილ ,,მეს”. ამას კი, როგორც გვასწავლის უფალი, მივაღწევთ, თუ შევიყვარებთ მოყვასს, ვითარცა საკუთარ თავს.
მაშ, შეიყვარე მოყვასი და ამით შეიყვარებ შემომქმედს. შენი სიკეთე გაგიღებს სამოთხის კარს, თავმდაბლობა შეგიყვანს უფლის სავანეში, სიყვარული კი წარგადგენს შემოქმედთან, — წმ. მამების ეს რჩევა ჩვენი ცხოვრების კანონად უნდა ვაქციოთ.
ამ გზაზე შეურაცხყოფაც შეგვხვდება და ცილისწამებაც, დაცინვაც და დამდაბლებაც, დაცემაც და აღდგომაც. არ უნდა შეგვეშინდეს, ეს ყველაფერი ჩვენი ამპარტავნების წამალია, მწარე, მაგრამ განმაკურნებელი წამალი.
მაგრამ კაცობრიობის ნაწილი ასე სულაც არ ფიქრობს, რადგან არ სჯერათ ღმერთის და მარადიული ცხოვრების.
უღმერთოთა ნაწილი სიცოცხლის აზრს მხოლოდ ამქვეყნიური კეთილდღეობის სხვისთვის შექმნაში ხედავს; სხვანი — შვილების ყოლაში, რადგან მომავალს ანიჭებენ დიდ მნიშვნელობას, მაგრამ მათ არა აქვთ პასუხი თუნდაც ისეთ მარტივ კითხვებზე, როგორიცაა მაგ: რა აზრი აქვს გამრავლებისათვის ზრუნვას, თუ შთამომავლობა შენთან ერთად არარაობად უნდა იქცეს? მით უმეტეს, რა აზრი აქვს პროგრესს, კაცობრიობისათვის ზრუნვას, თუ ჩვენი მონაპოვარი მოხმარდება მათ, ვინც ხვალ აღარ იარსებებს?
ეს ადამიანები გარკვეულწილად სხვისთვის ცხოვრობენ, მაგრამ მათი ყოფის მიზანს ასეთი აზროვნება სრულიად აუფასურებს.
ისინი გაცილებით დასაფასებელნი არიან, ვიდრე ,,ლოგიკურად“ მოაზროვნენი, რომელნიც მიიჩნევენ, რომ ყველაფერი უნდა გააკეთონ საკუთრი ბედნიერებისათვის და ასევე ბედნიერად დაამთავრონ ცხოვრება აქ, რადგან მათთვის იმქვეყნად არაფერი არ არსებობს.
ეს არის ყველაზე პრიმიტიული დამოკიდებულება სიცოცხლისადმი და რაოდენ სამწუხაროა, რომ ჩვენს დროში მსოფლიოში სწორედ ამგვარი განწყობისათვის ხდება ხელის შეწყობა.
მინდა თქვენი ყურადღება შევაჩერო ამ მოვლენაზე, რომ უფრო ნათლად გავერკვიოთ რა ვითარებაში გვიწევს ცხოვრება.
საზოგადოებრივი ყოფისადმი ,,ახალი მიდგომა” ჯერ გამოიხატა იმით, რომ შეეცადნენ, ადამიანისათვის დაევიწყებინათ ცოდვის განცდა და ამოქმედდა ასეთი პრინციპი: ნებისმიერი ქმედება მისაღებია, თუ იგი არ ზღუდავს სხვის თავისუფლებას. მაგ: სხვისი უზნეობა თუ მე არაფერს მიშავებს, ეს ქმედება უარყოფითი აღარ არის...
და დაიწყო ამგვარი აზროვნების ყველგან დამკვიდრება, რაც არის აჯანყება ზნეობისა და ადამიანურობის წინააღმდეგ.
თავისუფლება და ზნეობრიობა ბუნებითია ადამიანისათვის. რომელიმე მათგანის უგულებელყოფა იწვევს პიროვნების და ასევე საზოგადოების დამახინჯებას.
სეკულარიზაციის მიმდევრებმა წინ წამოწიეს რა ცრუ თავისუფლების იდეა, ზნეობა საერთოდ ჩამოაშორეს მას და ბოლოს უკვე ასეთი პრინციპიც წამოაყენეს: რაც მსურს, ყველაფერი ბუნებრივია, დასაშვები და მისაღებია!
ეს ნიშნავს, რომ ბოროტებაც მისაღებია და ამაში ცუდი არაფერია!
ასეთი ცხოვრების ფილოსოფია ერთ მნიშვნელობას ანიჭებს ყველა იდეასა და შეხედულებას, ღირებულებათა ყველა სისტემას და ადამიანს ნებისმიერი არჩევანის გამართლებას სთავაზობს.
საყოველთაო ჭეშმარიტება აღარ არსებობს, არსებობს მხოლოდ ინდივიდუალური ,,ჭეშმარიტებები”. მათ შორის კი წარმატებულია ის მიმართულება, რომელიც მხარდაჭერილია ინფორმაციული მანქანისაგან და კარგად არის რეკლამირებული.
თეოლოგთა შეხედულებით, ფეხს იკიდებს ვულგარული აზროვნება, რომელიც ადამიანში მხოლოდ ცხოველური ინსტიქტების წინ წამოწევას ემსახურება.
ეს არის ჭეშმარიტი თავისუფლების სრული ანტიპოდი. ეს არის ცოდვის და ეშმაკის ისეთი ბატონობა, რომლის მსგავსიც არ ახსოვს კაცთა მოდგმას!

ამგვარი აზროვნების წესსა და დამოკიდებულებას პროპაგანდას უწევენ ყველგან და მათ შორის საქართველოშიც.

როგორც ჩანს, ამ „ახალი იდეოლოგიის" გამოვლინება და გამოხატულებაა 100 000 ქართველის წამების უწმიდეს ადგილზე ბუდა-ბარის აშენება, ასევე ქალაქის ცენტრში ცოდვის სახლების, — კაზინოსა (თანაც საპატრიარქოს გვერდით) და ტოტალიზატორის... გახსნა, სოდომ-გომორის ცოდვის ჩამდენთა და მათი მსგავსი სხვა „გმირების" პოპულარიზაცია.

ეკლესიას, რომელიც მის წევრთა პიროვნული ნაკლულევანების მიუხედავად, ყოვლად წმინდაა და სრულიად უცდომელი, ქრისტეს მცნებისამებრ, ყველა უყვარს და ცდილობს დაეხმაროს მათ, მაგრამ ეს სიყვარული სულაც არ ნიშნავს ცოდვასთან შემგუებლობას. პირიქით, ჩვენი რწმენა მოითხოვს, რომ ცოდვა მოვიძულოთ და ვებრძოლოთ მას, ხოლო ადამიანი გავაფრთხილოთ და დავიცვათ.

ასეთი დაწესებულებები ბევრ ცივილიზებულ და დემოკრატიულ ქვეყანაში ჯერ-ჯერობით აკრძალულია, ხოლო სადაც დაშვებულია, მათ კანონით მკაცრად განსაზღვრული მდებარეობა აქვთ — მოცილებულნი არიან სასწავლო და რელიგიურ დაწესებულებებს, ქალაქის ცენტრს, საზოგადოების დასვენებისა და კულტურული თავშეყრის ადგილებს. მინდა კმაყოფილებით აღვნიშნო, რომ მიუხედავად დიდი მცდელობისა და მრავალი ხელშემწყობი ფაქტორისა, ახალგაზრდების დიდმა ნაწილმა და ჩვენმა ხალხმა გაუძლო ამ საცდურს და ზნეობისა და ტრადიციული ღირებულებების დამცველად დარჩა.

ჩვენი ვალია, ხელი შევუწყოთ მტკიცე ოჯახისა და ძლიერი სახელმწიფოს შექმნას, ამიტომაც გვსურს, რომ გამოვთქვათ ჩვენი ზოგიერთი მოსაზრება:

მიუხედავად ქვეყნის გარკვეული წინსვლისა, მოსახლეობის დიდი ნაწილი სოციალურად კვლავაც დაუცველ ფენას წარმოადგენს; დაბალია ეროვნული წარმოებისა და მცირე და საშუალო ბიზნესის მაჩვენებელი; ბაზარზე დომინირებს იმპორტული საქონელი; არარეალურადაა გაზრდილი გადასახადები, მათ შორის კომუნალური, შემოსავლის წყარო კი, დაბალანაზღაურებადია.

საჭიროა ისეთი კანონების მიღება, რომელიც შეამცირებს გადასახადებს, განსაკუთრებით კი, სოფლის მეურნეობის სფეროში, რათა იგი გახდეს დაინტერესების საგანი. ფრიად სასურველია, დახმარება გაეწიოს გლეხურ მეურნეობას, რომ მათ შეძლონ მიწის დამუშავება, თესლის, სასუქისა და სხვა შესაწამლი საშუალებების შეძენა, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის მოყვანა და გადამუშავება. სარეალიზაციო ბაზრის მოპოვება კი, ვფიქრობთ, სახელმწიფოს არ გაუჭირდება, მასზე მსოფლიოში მოთხოვნა დიდია.

თუ ეს განხორციელდა, მოკლე დროში შესამჩნევი იქნება წინსვლა და ხალხს დაუბრუნდება შრომის სურვილი.

ხელისუფლების განსაკუთრებული ზრუნვის საგანი, რა თქმა უნდა, უნდა იყოს ჯანდაცვის სფერო.

ექიმობა ღვთივკურთხეული და კაცობრიობის ისტორიის მანძილზე ერთ-ერთი ყველაზე კეთილშობილური საქმიანობაა. დღესაც მსოფლიოში იგი ყველაზე საპატიო და მაღალანაზღაურებადი პროფესიაა. ხოლო იქ, სადაც ექიმს არ უჭირავს სათანადო ადგილი და არა აქვს დაფასება, პაციენტს ეკარგება მისდამი ნდობა, რის შედეგადაც პირველ რიგში ზარალდება არა ექიმი, არამედ ავადმყოფი და საბოლოოდ მთელი საზოგადოება; ამიტომ, ვფიქრობთ, ჯანდაცვის პრიორიტეტად უნდა დარჩეს ექიმის კვალიფიკაციის ამაღლება, მათი პრესტიჟის დაცვა და ახალგაზრდა მაღალპროფესიული კადრის აღზრდა.

ავადმყოფის მკურნალობა ასევეა დამოკიდებული ეფექტური და უსაფრთხო მედიკამენტების გამოყენებაზე, ვინაიდან უვარგისი და ფალსიფიცირებული წამალი შეიძლება საწამლავად ექცეს მას. ამიტომ საგანგებო ყურადღება უნდა მიექცეს ქვეყანაში შემოტანილი თუ ადგილობრივი წარმოების პრეპარატის ხარისხს.

ფრიად სასურველია სახელმწიფოს განსაკუთრებული ზრუნვის საგანი გახდეს ჩვილობის ასაკში ბავშვისა და დედის ერთად ყოფნის ხელშეწყობა და დედისათვის ხელფასიანი შვებულების თუნდაც ექვს თვემდე გაზრდა.

დღეს სერიოზულად ზრუნავენ დაავადებათა პროფილაქტიკასა და მათ ადრეულ გამოვლენაზე, რაც ძალიან სწორია და აუცილებელი. ამასთან, მიმაჩნია, რომ ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდა უნდა გაგრძელდეს ჯანდაცვის სფეროსა და ეკლესიას შორის მჭიდრო თანამშრომლობის საფუძველზე, რაც, ვფიქრობთ, უფრო ეფექტური იქნება.

დიდი ყურადღება უნდა მიექცეს პატიმართა ჯანმრთელობის მდგომარეობასაც, რადგან ციხეებში არსებობს მრავალი ხელშემწყობი ფაქტორი ისეთი სოციალურად საშიში დაავადებების მძიმე ფორმების გავრცელებისათვის, როგორიცაა თუნდაც ტუბერკულოზი.

აუცილებელია სპეციალური სამსახურების მობილიზება და მათი ინტეგრირებული საქმიანობა, რომ სწორად გატარებული პროფილაქტიკური და სამკურნალო ღონისძიებებით თავიდან ავიცილოთ ციხეებში როგორც ამ დაავადების, ისე ც ჰეპატიტის, შიდსის და სხვათა გავრცელება, ხოლო უკვე

დაავადებულებში – დროული მკურნალობა.
ჩვენი ტკივილია, რომ საქართველოს პენიტენციალურ დაწესებულებებში ძალიან ბევრი პატიმარია, მათ შორის დიდია არასრულწლოვანთა და ქალთა რაოდენობა. ვფიქრობ, მნიშვნელოვანია სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების სამინისტროსთან არსებული ვადაზე ადრე გათავისუფლების მუდმივმოქმედი კომისიების უფრო აქტიური საქმიანობა. ამასთან, იქნებ ვიზრუნოთ საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის, მიმაგრების და სხვა ალტერნატიული სასჯელების ამოქმედებაზე იმ პატიმართა მიმართ, რომელნიც საშიშ დამნაშავეებს არ წარმოადგენენ.
კარგი იქნება, ციხეებში შეიქმნას სამუშაო ადგილები, სადაც ისინი შეძლებენ თავისი ნიჭისა და შესაძლებლობების გამოყენებას. რეალიზებული ადამიანი კი საზოგადოებისათვის ნაკლებ საშიშია.
აუცილებელია ამოქმედდეს კანონი სასჯელის გადავადების შესახებ, რაც ნიშნავს, რომ სამედიცინო კომისიის დასკვნის საფუძველზე, მძიმე ან უკურნებელი სენით დაავადებულ პატიმრებს უფლება მიეცეთ, დატოვონ სასჯელაღსრულების დაწესებულება და გამოჯანმრთელებამდე დარჩნენ და იმკურნალონ ოჯახურ გარემოში ახლობლების მზრუნველობის ქვეშ.
პატიმრებსა და სნეულებზე ზრუნვა ღვთის მცნების აღსრულება და ერთ-ერთი მთავარი სათნოებაა.
ხშირად უთქვამთ: ხომ შეეძლო უფალს, ადამიანები სიკეთისაკენ ისე მიემართა, რომ ისინი ცოდვით არ დაცემულიყვნენ და ამდენი განსაცდელიც აღარ გადაეტანათ?
ღმერთი სულია, — წერს პავლე მოციქული, — და სადაც უფლის სულია, იქ თავისუფლებაა.” (II კორ.3,17).
ადამიანის სიდიადე სწორედ იმაშია, რომ იგი თავისუფლებისთვისაა დაბადებული და მინიჭებული აქვს არჩევანის შესაძლებლობა კეთილსა და ბოროტს, სიწმიდესა და ცოდვას, სიკვდილსა და მარადიულობას შორის.
თავისუფლების მთავარი არსი იმაში მდგომარეობს, რომ ამა თუ იმ პიროვნებამ თავისი სურვილით, გაცნობიერებულად, სიყვარულით დაუმორჩილოს თავისი ნება ღვთის ნებას, რათა მოხდეს ძალდაუტანებელი შეერთება და სრული დაქვემდებარება მისდამი, რისი შედეგიც არის შემოქმედთან მსგავსების მიღწევა, ანუ მადლისმიერი განღმრთობა.
რომელი მიწიერი კეთილდღეობა შეიძლება შეედაროს იმას, რასაც უფალი თავის მორწმუნეთ უმზადებს?!
,,საერთოდ, ყველა ადამიანის სული ბუნებით ქრისტიანია” — წერს II-III-საუკუნეების ცნობილი მწერალი ტერტულიანე.
ასე რომ, თითოეულ ჩვენგანს შეუძლია გახდეს მორწმუნე და ჭეშმარიტი ღვთის მადიდებელი, თუკი, რა თქმა უნდა, ადამიანი არ გაიუკუღმართებს ბუნებას და თავისი პიროვნული არჩევანით არ დაექვემდებარება ცოდვას.
ჭეშმარიტი რწმენის მოპოვებისათვის კი აუცილებელი პირობაა საკუთარ თავში ჩაღრმავება. სულის, გულისა და გონების განწმედა, წმინდა წერილისა და საღვთისმეტყველო ლიტერატურის კითხვა და დახმარებისთვის უფლის წინაშე ლოცვა. ძველი ნათქვამია: მსგავსი მსგავსს შეჰხარის და შეიცნობსო.
ბუნებრივია, სადაც სიბნელეა, იქ სინათლე ვერ იქნება, სადაც ჭუჭყი ბუდობს, იქ სისუფთავეზე ლაპარაკი ზედმეტია. ამიტომაც ჭეშმარიტი რწმენა ვერ იარსებებს უზნეობისა და ცოდვის გარემოში.
ხოლო ადამიანი, ვინც გულწრფელად ეძიებს სამყაროსა და თავისი არსებობის მიზეზსა და მიზანს, ვისაც მთელი არსებით სურს, ჭეშმარიტების შეცნობა, ადრე თუ გვიან, მაინც იპოვის უფალს და გააცნობიერებს, რომ მისი ცხოვრება გაბრწყინებული უნდა იყოს აღდგომის ნათლით და ქრისტეში მარადიული ნეტარების დამკვიდრების სასოებით; რომ ადამიანის ამქვეყნიური ცხოვრების უმთავრესი მიზანი სასუფევლის მოპოვებაა, დანარჩენი ყველაფერი, — სამშობლო, ოჯახი, შვილები, ახლობლები, მეგობრები და ყოველივე ამქვეყნიური მოდვაწეობა ამ მიზნით უნდა იყოს წარმართული. უფალი ბრძანებს — მე ვარ ანი და ჰაე, დასაბამი და დასასრული (გამოცხ. 1.8); მე ვარ აღდგომა და სიცოცხლე. ვისაც ჰსწამს ჩემი, კიდეც, რომ მოკვდეს, იცოცხლებს (ინ. 11,25).
ჩემო სულიერო შვილებო, აფხაზნო, ოსნო, უკრაინელნო, ქართველნო, ბერძენნო, ასირიელნო, აზერბაიჯანელნო, რუსნო, სომეხნო და ქურთნო, უდინნო, იეზიდნო და სხვანო, საქართველოს ფარგლებს გარეთ მცხოვრებნო ჩვენო საყვარელო თანამემამულენო, ჩვენ გვწამს, რომ ქრისტემ მიიღო სიკვდილი იმისათვის, რომ ჩვენში მომკვდარიყო ცოდვა. მაშ, მოვკვდეთ ცოდვისთვის, რათა ჩვენშიც გაცოცხლდეს ქრისტე!

ქრისტე აღდგა! ჭეშმარიტად აღდგა!

ილია II
სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი
აღდგომა ქრისტესი
თბილისი, 2012 წელი

გელა ნიკოლაიშვილი:

ვილაცამ მილიციელს ქუდი მოხადა და ჰაერში ააგდო. რამდენიმე წამში ცა ასროლილმა ქუდებმა დაფარეს!

ქართველმა ახალგაზრდებმა 1978 წლის 14 აპრილს სიცოცხლის და თავისუფლების რისკის საფასურად შეინარჩუნეს ქართული ენის სტატუსი, რომლის ჩამორთმევასაც მაშინდელი საოკუპაციო რეჟიმი ცდილობდა. დღეს საქართველო იურიდიულად თავისუფალია, თუმცა, სახელმწიფო ენას მისი სტატუსის მუდმივი დაკნინებითა და ინგლისური ენის ჩანაცვლებით საფრთხე ისევ ემუქრება. გვესაუბრება სამოცდაათიანი წლების სტუდენტური მოძრაობისა და მაშინდელი სახალხო გამოსვლების ერთ-ერთი ლიდერი გელა ნიკოლაიშვილი.

- ბატონო გელა, როდის შეიქმნა და რას საქმიანობდა თქვენი არალეგალური ჯგუფი?

- 1977 წლის 1 აპრილს ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა დააპატიმრეს. მე და თამრიკო ჩხეიძე მაშინ უნივერსიტეტში, ისტორიის ფაკულტეტის მეორე კურსზე ვსწავლობდით და არალეგალურ ჯგუფში ვიყავით გაერთიანებული. ჩვენთან იყო გია ჭანტურიაც... ზვიადის და მერაბის ქომაგობის მიზნით, პროკლამაციებს ვავრცელებდით, ხან შუაღამით კედლებზე ვაკრავდით, ხან მერხებში ვდებდით, ხანაც სახურავებიდან ქუჩაში ვყრიდით. პოლიტპატიმრების დაცვის გარდა, მახსოვს, 1977 წლის 7 ნოემბერს, ოქტომბრის რევოლუციის 60 წლისთავზე, ანტისაბჭოთა პროკლამაციები გადმოვაბნიეთ დემონსტრანტებს. წინა ღამით სახურავზე პროკლამაციებით სავსე ყუთი დავდეთ, საიდანაც ძუა იყო ჩამოშვებული. ისე მოხდა, რომ რომელიღაცა ცნობისმოყვარემ, ჩვენზე ადრე ჩამოქაჩა... მაშინ პროკლამაციების გავრცელება, მით უმეტეს, ანტისაბჭოთა ხასიათის შეკრებები - დიდ რისკთან იყო დაკავშირებული. როცა კონსტიტუციის ახალი ვარიანტი შემოგვთავაზეს, რომელშიც ქართული ენის სახელმწიფო სტატუსი აღარ იყო გათვალისწინებული, ხალხი ამაზე მხოლოდ საკუთარ სამზარეულოებში, თან ჩურჩულით ლაპარაკობდა. ჩვენმა არალეგალურმა ჯგუფმა დაიწყო გეგმის დალაგება, როგორ გაგვეპროტესტებინა ეს მოვლენა...

- პროტესტი კი არა, ტრიუმფალური გამარჯვება მოიპოვეთ...

- გულწრფელად გეტყვით, ილუზია არ გვქონდა, რომ შედეგს მივაღწევდით. ჩვენი ჯგუფის გარდა, მაშინდელ უმაღლეს სასწავლებლებში პატრიოტულად მოაზროვნე მრავალი სტუდენტი იყო, რომლებიც ჩვენნაირად ფიქრობდნენ, თუმცა, არც კი ვიცოდით, რამხელა ძალას წარმოვადგენდით! თანადგომას ვგრძნობდით მწერალთა კავშირიდან, სადაც რევაზ ჯაფარიძე, ნოდარ წულეისკირი და აკაკი ბაქრაძე აქტიურობდნენ. ახლა შევარდნაძე რომ თავის თავზე იბრალებს გამარჯვებას, როგორც კი იყნოსა, რომ უკმაყოფილების ტალღა მწიფდებოდა, კარდაკარ სიარული და იმის მტკიცება დაიწყო, თითქოს ახალი კონსტიტუცია საფრთხეს არ შეიცავდა. მტკნარი სიცრუეა, ვითომ სტუდენტურ გამოსვლებს ფარულად თავად უკეთებდა ორგანიზებას.

1956 წლის 9 მარტი ჯერ კიდევ ახსოვდა მამების თაობას და არსებობდა თვალსაზრისი, რომ მთავრობა ხალხს ახლაც ესროდა, თუ საპროტესტო შეკრებას ექნებოდა ადგილი. უნივერსიტეტში კომკავშირის კრების ჩატარებით სცადეს ახალგაზრდების ვნებათაღელვის დაცხრობა, თუმცა ის კრებაც საპროტესტო თავყრილობად გადავაქციეთ... ეს ხდებოდა 14 აპრილის წინა დღეებში.

- და 14 აპრილს რა მოხდა?

- 14 აპრილს უმაღლესი საბჭოს სესია ტარდებოდა, გადაწყვეტილება უნდა მიეღოთ. სტუდენტების აქტიურობის შესაფერხებლად უნივერსიტეტის ყველა შესასვლელ-გამოსასვლელი ჩაკეტეს და შენობაში გამოამწყვდიეს ახალგაზრდები. მე გარეთ გამოსვლა მოვასწარი. უნივერსიტეტის ეზოშიც "კაგებეშნიკები" იდგნენ და გარეთ დარჩენილ სტუდენტებს შეჯგუფებას გვიშლიდნენ, მაგრამ ყველა უმაღლესი სასწავლებლიდან სტუდენტები დაიძრნენ და უნივერსიტეტის ეზო ნელ-ნელა ხალხით ივსებოდა. გულახდილად გეტყვით, რომ ეს დიდი მიტინგი ჩვენ არ დაგვიგეგმია, არც

არავის დაუგეგმავს, თუმცა საზოგადოებრივი აზრის მომზადება სწორედ ჩვენი ჯგუფის და სხვა არალეგალური, სტუდენტური ჯგუფების აქტიურობამ განაპირობა.
ხალხი უნივერსიტეტისკენ მოიწევდა. მახსოვს, როგორ აქტიურობდა დიდი ფეხბურთელი მანუჩარ მაჩაიძე... ამასობაში, იძულებულნი გახდნენ, შენობაში დამწყვდეული სტუდენტები გარეთ გამოეშვათ. გაჩნდა მთავრობის სახლისკენ წასვლის იდეა. შეშფოთებულები ჩამოდიოდნენ რექტორატის და უნივერსიტეტის პარტიული თუ კომკავშირული აქტივის თანამშრომლები, გვარწმუნებდნენ - გესვრიანო, მაგრამ ჩვენ უკვე სიკვდილისთვისაც მზად ვიყავით. ამდენი ხალხი, ერთიანი სულისკვეთებით გამსჭვალული, მთავრობის სახლისკენ დაიძრა.

- მილიცია წინააღმდეგობას არ გიწევდათ?

- პირველი ჯაჭვი ფილარმონიამდე დაგვახვედრეს, თუმცა, ის ადვილად გავარღვიეთ. რუსთაველის მეტროსთან უფრო მობილიზებულად დაგვხვდნენ მილიციელები, მაგრამ ხალხი სულ უფრო და უფრო გვემატებოდა და ეს ჯაჭვიც გადავთელეთ. აი, რუსთაველის თეატრთან კი, უკვე სატვირთო მანქანებით ჩახერგეს გზა და მილიციელების ჯაჭვების შრეების რაოდენობაც საკმაოდ ბევრი იყო. ცხადი შეიქმნა, რომ ხალხის შეფერხება იქამდე ჰქონდათ განზრახული, ვიდრე სესია ახალი კონსტიტუციის მიღებით ენის სტატუსის გაუქმებას არ დაასრულებდა. არ ვიცი, პირველად ვინ მოიფიქრა, მაგრამ ერთ-ერთი დემონსტრანტი მოულოდნელად წინ მდგომ მილიციელს ეცა, ქუდი მოხადა და ჰაერში აუგდო, მილიციელი ქუდს დასაჭერად წაეტანა. ამის ნახვა იყო და, ხალხი მილიციელებს ქუდებზე ეცა. ცა ასროლილმა ქუდებმა დაფარა. მილიციელები დაიბნენ. ზოგი გადაგდებულ ქუდს გაეკიდა, ზოგს ორივე ხელით ეჭირა ქუდი - მეც არ გადამიგდონო... ამასობაში ხალხმა დრო იხელთა და სატვირთო მანქანებს შორის ადიდებული მდინარის მსგავსად გაიკვალა გზა მთავრობის სახლისკენ. ეს ამხელა მასა შეიკრიბა და დაიწყო სკანდირება: „შე-ვარდ-ნა-ძე! შე-ვარდ-ნა-ძე!“
შევარდნაძემ პროტესტის მასშტაბი ყველაზე უკეთ განჭვრიტა. მიხვდა, რომ ხალხისთვის ტყვიის დაშენა დიდ პრობლემებს შექმნიდა და ისეთ მღელვარებებს გამოიწვევდა, მერე მთელ მსოფლიოში აჟიოტაჟი რომ მოყვებოდა. არადა, ჯარის ნაწილები უკვე

14 აპრილი, სიმბოლურად, ქართული ენის დღედ იქცა. ამ დღის და ამ აქციის მთავარი ღირშესანიშნაობა ის არის, რომ ხალხმა რომელიმე გამოკვეთილი ლიდერის წინამძღოლობის გარეშე მოახერხა კონსოლიდაცია და გამარჯვება!

მობილიზებული იყო ხალხის სიახლოვეს... რა თქმა უნდა, კრემლთან შეუთანხმებლად ვერაფერს გადაწყვეტდნენ. იქაც, ალბათ, დაფიქრდნენ და მიხვდნენ, რომ უკან დახევა ჯობდა და შევარდნაძემაც არ დააყოვნა, ენის სტატუსის შენარჩუნება თავის დამსახურებად წარმოაჩინა. რადიოფიცირებული სესიის გადაწყვეტილებას რუსთაველზე შეგროვილი ხალხი ოვაციებით შეხვდა. მოგვიანებით თავად შევარდნაძე ჩამოვიდა ხალხთან და განაცხადა, საქართველოში სახელმწიფო ენად ქართული რჩებაო! არადა დიდხანს არ სჯეროდათ, ეგონათ, ხელისუფლება გვატყუებს, რათა როგორმე დაგვშალონო...

- არ გიცდიათ, მიტინგი ანტისაბჭოთა გამოსვლაში გადაგეზარდათ?

- ამისი მცდელობაც იყო. გაჩნდა ლოზუნგები: „თავისუფლება ზვიად გამსახურდიას და მერაბ კოსტავას!“, თუმცა, ვარჩიეთ, რომ გამარჯვება შეგვერგო და დავშლილიყავით, მით უმეტეს, რომ პროვოკაციის ალბათობაც მატულობდა. საბჭოთა კავშირის მასშტაბით მსგავსი გამოსვლები არსად ყოფილა, თუ არ ჩავთვლით, მცირე მღელვარებას სომხეთში. შედეგად, მშობლიური ენისთვის სახელმწიფო ენის სტატუსი ბალტიის ქვეყნებმა, სომხეთმა და საქართველომ შეინარჩუნეს.

14 აპრილი, სიმბოლურად, ქართული ენის დღედ იქცა. ამ დღის და ამ აქციის მთავარი ღირშესანიშნაობა ის არის, რომ ხალხმა რომელიმე გამოკვეთილი ლიდერის წინამძღოლობის გარეშე მოახერხა კონსოლიდაცია და გამარჯვება! ხალხი გაცნობიერებულად წავიდა სასიკვდილოდ და სიცოცხლის რისკის საფასურად დაიცვა მშობლიური ენა.

ესაუბრა
ზაზა დავითაია

„ჩვენ არ გაგვაჩნია კანონი მათ შესაჩერებლად“. ინტერნეტსა და სოციალურ ქსელებში თითოეული მომხმარებელი ტოვებს თავის კვალს. აქედან გამომდინარე იცის facebook–მა თუ Google–მა რომელი ფილმები მოსწონს მას, რომელ მუსიკას უსმენს და კიდევ რითია დაინტერესებული. მათ ასევე იციან თუ სად არის იგი ახლა და ვის ესაუბრება.
გთავაზობთ ერთი დღის ქრონიკას.



07:00

ტექსტურ შეტყობინებას ვწერ. მისი გაგზავნა უფასოა. შესანიშნავია. ამისათვის მობილურ ტელეფონზე App–ს ვაყენებ. ჩემი შეტყობინების ადრესატსაც აქვს ეს App–ი დაყენებული ტექსტური შეტყობინება ამერიკულ სერვერზე მოთავსდება. მიმღები მხოლოდ დახედავს მას, sms–ი კი რჩება ამერიკულ სერვერზე, განურჩევლად იმისა, წაიკითხავს ადრესატი მას თუ არა. App–ის მწარმოებელმა და სერვერის მეპატრონემ რომ მოინდომოს იმის გაგება, თუ როდის ვის რა მივწერე და რა ფოტო გავუგზავნე, ამას ყოველგვარი სირთულის გარეშე შესძლებს. მას ეცოდინება ვის ვწერ sms–ს მისი App–ის მეშვეობით და ისიც – ჩემი sms–ის ადრესატი ვის უგზავნის შეტყობინებებს. შესაბამისად, App–ის მწარმოებელს ჩემზე მეტი ეცოდინება.

07:05

ელექტრონულ შეტყობინებას ვუგზავნი ჩემს თავს. ამისათვის ვიყენებ ელ–ფოსტის მისამართს, რომელიც ელექტრონული შეტყობინების უფასო პროგრამის პროვაიდერის სერვერზეა განთავსებული. მე დედამიწის ნებისმიერი წერტილიდან შემიძლია მისი ნახვა. ყველა შეტყობინება, რომელიც ოდესმე დამიწერია თუ მიმიღია, ამ სერვერზეა...

07:20

facebook–ზე ფოტოს ატვირთვას ვაპირებ, ახლა ეს მობილური ტელეფონითაც აა შესაძლებელი. სურათს ვიღებ და ჩემს “კედელზე” ვაგზავნი. facebook–ის განცხადებით, იგი ახლა უკვე მისი საკუთრებაა. მასზე ვინმე რომ მომენიშნა, facebook–ს ისიც ეცოდინებოდა თუ ვის გადავუდე სურათი. ვინაიდან, ჩემი მეგობრები ამ ფოტოზე რეაგირებენ, facebook–მა იცის ვისთან მაქვს ურთიერთობა, რას აქვეყნებენ ისინი და როგორ ვრეაგირებ მათ სიახლეებზე. სხვათაშორის, ჩემს მიერ ატვირთული ფოტოს ასლი მაშინვე გადაეგზავნა Cloud-სერვერს. მისი გახსნა ახლა უკვე ჩემს ორივე კომპიუტერს და ტელეფონს შეუძლია. Cloud–ის მეპატრონისასაც...

07:40

facebook–ი მიგზავნის შემოთავაზებებს, თუ ვინ შეიძლება დავიმეგობრო ჩემი უკვე არსებული მეგობრების პარალელურად – აბსოლუტურად უცხო ხალხი, მეგობრების მეგობრები. ერთხელ დავითვალე კიდეც, 250 მსგავსი შემოთავაზება მაქვს. ადრე ყველაფერს ყველას დასანახად ვათავსებდი, ანუ ნებისმიერს შეეძლო ენახა რა იდო ჩემს კედელზე, ისიც რაც სხვებმა დამიდეს. ყველაფერი ყველასათვის – მას მერე რაც facebook–ში გავწევრიანდი. რომ ვუფიქრდები, უსიამოვნო გრძნობა მეუფლება. „პირადი უსაფრთხოების პარამეტრებს“ ვეძებ, რათა მეგობართა მხოლოდ ვიწრო წრემ შესძლოს ჩემს კედელზე კითხვა და წერა.

8:40

დიდი ხნის ძებნის შემდეგ ეს ფუნქცია ვიპოვე! აქტიურ მეგობართა წრე ერთი–ორად შევიწროვდა! ჩემი სახელიც კი შევცვალე. მომხმარებელთა უფლებების დაცვის სამინისტროს მიერ ჩატარებული გამოკითხვის მიხედვით, გერმანულ ორგანიზაციათა ერთი მეოთხედი ინფორმაციას დასასაქმებელი კანდიდატების შესახებ ინტერნეტში ეძებს. 38% სოციალურ ქსელებსაც ათვალიერებს – Xing–ს, facebook–ს, LinkedIn–ს. დიდ ორგანიზაციებში ეს მაჩვენებელი 50% უდრის. ეს მონაცემები 2009 წლისაა, ახლა გაცილებით მეტნი იქნებიან...

09:00

GPS–ის საშუალებით შემიძლია ჩემი ტელეფონი ვიპოვო. დაკარგვის ან მოპარვის შემთხვევაში მე მას რუკაზე დავინახავ. თუ ჩემს მეგობრებს ამის უფლებას მივცემ, მათაც შეეძლებათ ჩემი ტელეფონის GPS–ით ადმოჩენა. მათ ყოველთვის ეცოდინებათ სად ვიმყოფები. ადგილმდებარეობის განმსაზღვრელი App–ი Gowalla, რომელიც მონაცემებს სოციალურ ქსელებს აწვდიდა, წავშალე. Gowalla 2011 წელს facebook–მა შეისყიდა. CNN–ის ინფორმაციით, იგი facebook–

ის ფუნქციისთვის – Timeline–ისთვის უნდა იქნეს გამოყენებული. Gowalla–ს საშუალებით სოციალურ ქსელს სურს მომხმარებლის მონაცემების მიხედვით, მისი "ცხოვრების გზა" შესაბამის გეოგრაფიულ ადგილებში წარმოაჩინოს. შესაბამისად, რეკლამებიც, რომლებსაც ისინი მიიღებენ მათ ადგილსამყოფელზე იქნება მორგებული. facebook–ი მომდევნო კვირებში ყველა მომხმარებლის Timeline–ზე გადაყვანას გეგმავს, რითიც თითქმის ერთი მილიარდი ადამიანის პიროვნება და ცხოვრება ბიოლოგიური ქრონიკასავით დაიხატება. ვებ–ანალიზის საშუალებით Timeline–ს გადაეცემა ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რას უსმენს მომხმარებელი, რას კითხულობს, რას ათვალიერებს.

09:20

facebook–ის ფუნქციის – Timeline–ის ოფიციალური ამერიკული გვერდის "დახმარების" ნაწილი გადავიკითხე. იქ წერია, რომ Timeline–ი გვიჩვენებს "ფილმებს, რომელსაც შენ უყურებ, მუსიკას, რომელსაც უსმენ, ყველაფერს, რაც შენ გაინტერესებს. უკვე არსებობს სოციალური App–ები, რომლებიც გვიჩვენებენ ვინ ხარ შენ, შენი ქმედებების გათვალისწინებით". Facebook–მა იცის რას ვაკეთებ და რეკლამასაც ამის შესაბამისად მაწვდის. სხვათაშორის, ამ ამერიკული "დახმარების" გვერდის ქვედა ველში ჩანან ის ჩემი გერმანელი მეგობრები, რომლებიც ამ ფუნქციას უკვე იყენებენ, სახელებითა და ფოტოებით. არა მგონია მათ ეს იცოდნენ...

11:00

საინტერესოა რას აკეთებენ Facebook–ის კონკურენტები. Google–ს მარტის დასაწყისში ცოტა „ზედმეტი მოუვიდა", კონცერნმა განაცხადა, რომ აპირებს მის მიერ შემოთავაზებული 60 სხვადასხვა სერვისის მომხმარებელთა პროფილების შერწყმას. ახალი დირექტივა მომხმარებელთა მონაცემების შესახებ Google–ს საშუალებას აძლევს კიდევ უფრო მეტი მონაცემი დაუკავშიროს ერთმანეთს. საძიებელი გვერდის გარდა, Google–ს ეკუთვნის ასევე YouTube, GMail, ფოტო სერვისი Picasa, პლათფორმა Blogger, ონლაინ პაკეტი Google Docs, სოციალური ქსელი Google+. შესაბამისად, უკვე Google–იც კითხულობს თქვენთან ერთად, ეძებს თქვენთან ერთად, უყურებს თქვენთან ერთად, წერს თქვენთან ერთად...

მომხმარებელთა მონაცემების დაცვის ევროპული სამსახურის წარმომადგენლებმა ღია წერილით მიმართეს Google–ის უფროსს ლერი პეიჯს: "ძალიან ძნელია ზუსტად მიადევნო იმას თვალი, თუ რომელი სერვისის რომელი კონკრეტული მონაცემების კომბინირება მოხდება". მათ დირექტივის განხორციელების გადადება მოითხოვეს. კონცერნისგან შემდეგი პასუხი მიიღეს: "Google–ს არ შეუძლია შეაჩეროს დირექტივის მსოფლიო მასშტაბით შემოღების პროცესი".

11:30

რეკლამა, რომელსაც facebook–ი მთავაზობს მოიცავს "გაზაფხულის ფლირტებს", ლუდს "გინესს" და არტროზის საწინააღმდეგო მედიკამენტებს. facebook–ს არც ისე ბევრი სცოდნია ჩემს შესახებ ან, იქნებ, ვცდები?

12:00

თებერვლის ბოლოს პრეზიდენტმა ობამამ წარმოადგინა კანონპროექტი პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის შესახებ, რომელიც ცნობილია სახელწოდებით "Do Not Track". "ამერიკული ონლაინ სივრცის თვითკონტროლი არ აღმოჩნდა საკმარისი იმისათვის, რომ დაცული იყოს ადამიანთა პირადი ცხოვრების ასპექტები" – წერია მთავრობის შემოთავაზებათა კრებულში, თუმცა თეთრი სახლის ოქმში კონკრეტული ზომები ამ პრობლემის მოსაგვარებლად მითითებული არ არის. ამერიკის მთავრობამ ყველაზე გავრცელებულ ინტერნეტ–ბრაუზერების მწარმოებლებს დაავალა DNT–ღილაკის დანერგვა, რომელიც მომხმარებელს მისცემს საშუალებას დაბლოკოს ინტერნეტ–ფირმები, რომლებიც მისი კვალის (ქმედების) გაკონტორლებას, მომხმარებლის პროფილის შექმნას და მონაცემების მესამე პირის ან ფირმისთვის გადაცემას შეეცდებიან. როგორც მასაჩუსეტის შტატის სენატორი ჯონ კერი ამბობს: "მსგავსი ფირმები მომხმარებელთა ყოველი ნაბიჯის უცნობი მასშტაბით პროტოკოლირებას უკვე ახდენენ. ამ ინფორმაციის გამოყენება მათ ნებისმიერი ქმედებისთვის შეეძლებათ. ჩვენ არ გაგვაჩნია კანონი მათ შესაჩერებლად".

12:10

დავაყენე DNT პლაგინი და შოკირებული ვარ. ახლა ვხედავ, რომ თხუთმეტამდე ჩემთვის უცნობი ფირმა ცდილობს ჩემი მონაცემების მოძიებას ონლაინ ჟურნალ "Wired"– ში სტატიის კითხვისას. facebook–ი ერთ–ერთი ამ ფირმათაგანია.

12:45

ვკითხულობ გერმანული ინტერნეტ–უსაფრთხოების ინსტიტუტის მიერ ჩატარებულ გამოკითხვას. გერმანელი მოსახლეობის 73% ისურვებდა სახელმწიფოს მიერ მეტ ჩარევას ინტერნეტის შემოთავაზებების უსაფრთხოებისათვის. მხოლოდ ყოველი მეორე გერმანელი თვლის რომ შეუძლია სათანადოდ შეაფასოს საფრთხე ინტერნეტში და მასზე რეაგირება მოახდინოს.

14:00

ჯერ კიდევ იმ სტატიაზე ვფიქრობ, რომელიც თებერვალში New York Times Magazine–ში გამოქვეყნდა – "როგორ იცნობენ ფირმები თქვენს საიდუმლოებებს". დიდი ამერიკული სავაჭრო ცენტრის "ტარჯეტის" სპეციალისტი ჰყვება, თუ როგორ ატარებს ეს ფირმა პროგნოზულ ანალიზს მომხმარებელთა მონაცემებისა და ქცევის მიხედვით. ფირმას შეუძლია იმის პროგნოზის გაკეთება თუ რას იყიდის ადამიანი,რადგანაც მან – როგორც სტატიაშია აღნიშნული – უფრო ადრე იცის, რომ თინეიჯერი ორსულადაა, ვიდრე ამას მამამისი შეიტყობს. ფირმა ორსულად მყოფ გოგონას უგზავნის ფასდაკლების კუპონებს საორსულო ნივთებზე, მაგრამ ისე, რომ მან თავი მეთვალყურეობის ქვეშ არ იგრძნოს და აღარაფერი იყიდოს. "ჩვენ კუპონებს ერთმანეთში ვურევთ, ვთავაზობთ ღვინის ჭიქებს სანბავშვო ტანისამოსის პარალელურად, ბალახის საჭრელ მანქანებს ბავშვების საფენების პარალელურად. ასე ქალბატონები არ გრძნობენ თავს, თითქოს მათ რაღაცაზე წაასწრეს, და ჩვენს საქონელს ყიდულობენ."

16:00

ევროკავშირში ძალაშია ევროპარლამენტის მიერ მიღებული დირექტივა 95/46/EG როგორც მინიმალური სტანდარტი მონაცემთა დაცვისა. გერმანიაში მის საფუძველზე 2001 წელს მიიღეს ფედერალური კანონი მონაცემთა დაცვის შესახებ, კანონი მონაცემთა დაცვის შესახებ სახელმწიფო მოხელეებისა და კერძო პირებისთვის. გარდა ამისა, ყველა ფედერალურ მიწას გააჩნია ამ სფეროს მარეგულირებელი თავისი კანონი. პასუხები, რომლებიც მონაცემთა დაცვას ეხება მოიძებნება აგრეთვე კანონებში ტელეკომუნიკაციის და ტელემედიის შესახებ. მაშ რა იწვევს „გამჭირვალე" მომხმარებლების არსებობას? პასუხი ძალიან მარტივია: გერმანული კონანმდებლობა და იურისპრუდენცია ამერიკაზე არ ვრცელდება. სწორედ ამის გამო გერმანიის მომხმარებელთა დაცვის მინისტრს ილზე აიგნერს ისღა დარჩენია facebook–ის დამფუძნებელს მარკ ცუკერბერგს წერილი მისწეროს და მოსთხოვოს „არსებული წარმოუდგენელი მდგომარეობა გამოასწოროს", წინააღმდეგ შემთხვევაში იგი სოციალური ქსელიდან გასვლით იმუქრება. უცნობია რა უპასუხა ცუკერბერგმა გერმანელ მინისტრს, მას, ალბათ, დრო არ ჰქონდა შეეწერებინა თავისი წარმატებული ფირმის პოლიტიკა.

20:00

ახლა კი შევწერდები, რადგანაც ჩემი დაყენებული DNT–ღილაკი მიჩვენებს, რომ მან უკვე 245 ჩემთვის უცნობი ფირმის მცდელობა დაბლოკა ჩემი მონაცემების შეგროვებისა.

1. ნუ დაგავიწყდებათ, რომ ინტერნეტ–ქსელს არაფერი ავიწყდება
მონაცემები ქსელში არ ქრება. თქვენ ვერასოდეს შეძლებთ მათ სამუდამოდ წაშლას, როგორც არ უნდა ეცადოთ. ქსელს არაფერი ავიწყდება.

2. ნურასოდეს განათავსებთ დაუფიქრებლად თქვენი შვილების ფოტოებს ინტერნეტში
ფრთხილად იყავით ინტერნეტში სურათების განთავსებისას, განსაკუთრებით, როდესაც საუბარია ბავშვების ფოტოებზე. თქვენ არასოდეს არ იცით ვინ და რისთვის დაათვალიერებს მათ.

3. ნურავის ენდობით
ციფრული გვარ–სახელი სოციალურ ქსელში შეიძლება მოგონილი იყოს.

4. გაიაზრეთ თქვენი თავისუფლების საზღვრები
ნებისმიერს შეუძლია თავისუფლად იმოძრაოს ინტერნეტში, მაგრამ უნდა იცოდეს, რომ იგი ამავე დროს თავისუფალი არ არის.

5. ნუ გამოიყენებთ საეჭვო App–ებს ტექსტური შეტყობინებების გასაგზავნად
როდესაც იყენებთ App–ებს უფასო ტექსტური შეტყობინებების გასაგზავნად, უნდა გახსოვდეთ რომ თქვენი შეტყობინება თქვენთვის მიუწვდომელ სერვერზე იქნება დამახსოვრებული. თუ რა მოუვა მას, ეს თქვენს ხელთ აღარაა.

6. წინასწარ იფიქრეთ მომავალზე
არავინ იცის რა ბედი ეწევა ჩვენს მონაცემებს 10 ან 20 წლის შემდეგ. მხოლოდ ერთია ნათელი – ისინი ჯერ კიდევ დამახსოვრებული იქნება.

მოამზადა
ნინო ხაბელაშვილმა



ოთარ სეფიაშვილის წერილი-რეცენზია „მონატრება“ ამ ათიოდე წლის წინათ დაიბეჭდა გაზეთში „საქართველოს რესპუბლიკა“. იმდენად მომეწონა, სტატია საგულდაგულოდ ამომიჭრია გაზეთიდან და საინტერესო სტატიების ჩემეულ ზანდუკში ჩამიკეტავს. ამ რამოდენიმე დღის წინ მას შემთხვევით წავაწყდი, გადავიკითხე და ცრემლებიც თავად მოსწყდა თვალს... ეს სტატია რეცენზია არაა, არ მახსოვს ვინმეს ასე წარმოსახავად დაეხატოს თბილისი საგაზეთო კაბადონებში თუ სასტამბო საღებავებით. წაიკითხეთ და თავად დამეთანხმებით.

რაც შეეხება წერილის ავტორს, ოთარ სეფიაშვილს, მას წარდგენა არ სჭირდება ჩვენი მკითხველის წინაშე... ცნობილი ჟურნალისტი, საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, კინოკრიტიკოსი და სცენარისტი, წლების მანძილზე პოპულარული სატელევიზიო პროგრამის „ილუზიონის“ წამყვანი, ჩვენი იუბილარიც!

- რა არის მონატრება?

არ მინდა მოვიხმო სიტყვა „ნოსტალგია“, რამეთუ მასში დარდიც იგულისხმება, სინანულიც, ერთგვარი მელანქოლიაც.

მონატრება კი, რაღაც უფრო სხვაა, - ფაქიზი, უფრო ნათელი, ის, რაც „ერთხელ ცხოვლად სულს დააჩნდების“, რაც შენშია მუდამ, რაც არ გეთმობა, - ერთი სიტყვით, მონატრება შეიძლება მხოლოდ იმის, რაც გიყვარს.

სიყვარული კი, ხომ სიტყვით გამოუთქმელი და აუხსნელია. რა კარგად თქვა პოეტმა:

„ჩემი თბილისი და ფიროსმანი,
არ ვიცი, ასე რამ შემაყვარა.“

ასევე, დაუვიწყარია ის გაოცება და აღტაცება, ძველთბილისური სურნელი რომ ახლდა: „რად მიყვარხარ...“, რომელსაც მოჰყვებოდა ხოლმე ჩამოთვლა ყველანაირი ხიბლისა, მათ შორის - „იმიტომ, რომ ეს დუნია ბეჭედია და ამ ბეჭდის დიდი თვალი შენა ხარ!“, თუმცაღა, ამაოდ, რამეთუ ბოლოს ისევ ისმოდა თბილისქალაქურ კილოზე ის მიამიტი შეკითხვა და წრფელი პასუხიც ერთდროულად:

„ბემურაზი ვიყო, თუ ვიცოდე!“

ამ სიტყვებში თითქოს ჩვენი გულისთქმაც იხატებოდა.

და გვიყვარდა დედა-მდინარის, მტკვრის გაყოლებაზე შეფენილი თბილისქალაქი - ცისკრის ვარსკვლავზე ჟრიამულით გაღვიძებული და საღამო ხანს, მზის ჩაბინდებისას იდუმალებით მოცული, ამქვეყნიურ ცოდომადლზე ფიქრის აღმძვრელი, დარდიმანდი და დარდიანიც, ენამჭევრი და სიტყვაძვირიც, ლოთიანი და შფოთიანი, მართალი და პირუმტკიცოც, სახემცინარი და მოღრუბლულიც, შუბლგახსნილი და წარბშეკრულიც, ხუმარა და დამცინავი და, იმავდროულად, ალერსიანი და თანამლმობელიც... იქნებ ამიტომაც არასოდეს მოჰკლებია თბილისს ტრფიალი და მეხოტბე - ყველა ერისა და მოდგმის კაცთაგან, მე კი აქ მაინც ჩვენი სისხლისმიერი პოეტის, გიორგი ხუხაშვილის, ჩვენი საყვარელი გიგლას სიმღერის სიტყვებს გავიხსენებ:

„ერთი დღითაც რომ დაგტოვო,
მომენატრები,
სულში მუდამ შრიალებენ
შენი ჭადრები“...

ხედავთ, აქაც „მონატრებაა“, ანუ ისევ ის, რასაც ვერ თმობ, ვერ ელევი, - „რაც ერთხელ ცხოვლად სულს დააჩნდების“.

განა არა, ყოველი ჩვენგანის სულში ბავშვობიდანვე ხმიანობდა პოეტურად მაღალი და ფილოსოფიური „ფიქრნი მტკვრის პირას“: „ვინ იცის, მტკვარო, რას ბუტბუტებ, ვისთვის რას იტყვი...“, მაგრამ ასევე, ბედისწერასავით მუდამ თანგვდევდა დუღუკის სევდიან ჰანგზე ძველთბილისურად თქმული:

„მტკვარი ჩაუდის თბილის-ქალაქს
ჩვენს დარდს წაიღებს,
ჩვენს ფიქრს წაიღებს,
ჩვენი გულის მურაზს წაიღებს,
ბოლოს, იქნება და,
ჩვენც თან წაგვიღებს...“

და თითქოს მართლა მიჰქონდა და მიჰყვებოდა გულჯავრიან მტკვრის დინებას თბილისის განუმეორებლობა, აქვარელის ფერებივით ირეცხებოდა და იშლებოდა მისი არაჩვეულებრივი ხიბლის კონტურები და სახე-იერი. ახლა თბილისი, რაგინდ არ უნდა ვცდილობდეთ მის იდეალიზირებას, ერთი განახლებული, თანადროული ქალაქია, შესაძლოა, თავისი ლანდშაფტითა და ბუნებით მართლა გამორჩეულად ლამაზი და მიმზიდველი, მაგრამ მაინც ისეთი, ანალოგი სხვაგანაც რომ

დაეძებნება. თბილისის განუმეორებლობასა და ერთადერთობას კი, ქმნიდა მისი ძველი უბნების ნაირფერობა, მათი აუწერელი თვითმყოფობა და კოლორიტი: ჭრელი და ათასსჯული ხალხით მოციმციმე მაიდანი - მართლა იმ ჟამუხსოვარი ბაბილონივით ენებაღრეული და ცოდვისშვილობით დაღდასმული; ღვინის რუმბებიანი სირაჯხანა და სუფსარქისის ქარბუქისაგან შებოჭილი ხარფუხი; აშპაშხანა და ნარიყალა; ქუჩაბანდებიანი ჩუღურეთი და ყომარბაზების საბუდარი ტიალი ხოჯევანქი; მზისაგან დაჭორფლილი შაითანი და ბაზაზხანა; შელმათიანი ფეთხაინი და სოლოლაკი; ხელოსანთა რიყე და ბამბისრიგი; ორთაჭალის ბაღები და მტკვრის გაღმა კლდიდან ალმაცერად გადმომზირალი ავლაბარი; „პირდაბანილი“ კოპწია ზემელი და ბოჰემური ვერისუბანი...

და, რაღა თქმა უნდა, იყო ე. წ. არისტოკრატიული თბილისიც, „პატარა პარიზს“ რომ ეძახდნენ, თავისი მოვარდისფრო-მოიისფრო, ევროპული ტიპის ჩუქურთმებით დამშვენებული სახლებით, კონკის გზებით გასერილი გოლოვინისა და მიხაელის პროსპექტებით, თეატრებით, „ოდეონ“-„ილუზიონებით“, სამორინოებით; ბროლის ჭაღებით გაბდღვრიალებული სამეჯლისოებით, მუსიკალურ-ლიტერატურული სალონებით... აქ ისმოდა კლავისინებისათუფორტეპიანოებისაკომპანემენტით საოპერო არიები, სონატები, სერენადები, ბაიათების წილ-ნეაპოლიტანური სიმღერები, „ბაღდადურის“ ნაცვლად „მაზურკებს“ ცეკვავდნენ თავმომწონე და ნარნარი წყვილები - „ქმნულნი კეთილ ფრიად“; სუფრებზე იღვრებოდა დარბაისლური „მრავალ ჟამიერ“ და მოდერნული - „ალავერდი, გოსპოდ სტაბოიუ“, ხელიდან ხელში გადადიოდა აზარფეშები - სევადიანი ვერცხლის თასები და ასევე სატუჩებზე მოვერცხლილ-მოვარაყებული უშველებელი ყანწები... აქ გაისმოდა საკუთარი გვარისშვილობით ამაყი და რუსეთ-ევროპამოვლილი „პიეტიკოსის“, ვახტანგ ორბელიანის –

„არ გამაგონოთ დაფა-ზურნის
ჰანგი ველური,
ჩემს თბილისში ვარ,
დაუკარით ტკბილქართველური“.

დიახ, ესეც იყო, იყო და მასაც „ძველი თბილისის ბოჰემა“ ჰქვია. და არა მის პარალელურად ან მისგან განცალკევებულად, არამედ მასთან შერწყმულად, როგორც ერთსულ და ერთხორც, იყო დემოკრატიული თბილისქალაქი - დღენიადაგ მკლავმოუღლელი და მუხლჩაუხრელი მაშვრალი, შუბლსა და მკერდზე დადენილ ოფლშეუმშრალი და მაინც გულგაუტეხელი, რომანტიკულად რომ ღიღინებდა:

„მთვარიან ღამეს ძილი ჩემი
მკრთალია,
უსაყვარლოდ გული ჩემი,
- ვაიჰ, - მკვდარია...“

და ალალად გულიდან ამოხეთქილი:

„შენ არზრუმის ცისკარი ხარ,
გულნარა!..“

და ამ აღმოსავლურ-დასავლურ, ევროპულ-ამიერკავკასიურ ეკლექტიკას თუ ნამდვილ თბილის-ქალაქური სულის მთლიანობას მუდამ აღტაცებაში მოჰყავდა ყველა, და რაც მთავარია, აოცებდათ და აოგნებდათ მის მრავალფეროვნებაში დავანებული და მკვეთრად გამოვლენილი ეროვნულ-სარწმუნოებრივი შემწყნარებლობა, სიმბოლურად რომ გამოიხატა მიწის ერთ მტკაველზე დატეული სამი რელიგიური სიწმინდის - ქრისტიანული სიონის ტაძრის, იუდეველთა სინაგოგისა და მუსლიმთა მეჩეთის მშვიდი და უწყინარი თანაარსებობით. და მღეროდა კიდეც ამით შთაგონებული თბილისელი აშუღი, იეთიმ გურჯი:

„მეჩეთი და სინაგოგა,
და სიონი წმიდათწმიდა,
კაცი იყავ კაცური და
იქ ილოცე, სადაც გინდა...“

ასე, რომ თბილისის სახე-იერს, მის განუმეორებლობას და ერთადერთობას მართლა ოდენ მის ვიწრო შუკებში ამოძახილი - „მაწონი!.. ნახშირი!.. პანტა!.. კნაპა!.. თუთა-ხართუთა“ - კი არ ქმნიდა, არამედ სხვადასხვა სჯულის ხალხთა შვილების ერთნაირი სიყვარული მშობლიური ქალაქისადმი, მათი ერთნაირად თბილისური თანადგომა და ურთიერთგამტანობა. ეს მრწამსი, სისხლში და ხორცში გამჯდარი, ეს იდეოლოგია განსაზღვრავდა და განაპირობებდა თბილის-ქალაქის გამორჩეულობას. და ეს ყოველივე, თითქოს, მართლა წაიღო მტკვრის ამღვრეულ წყალთა დინებამ. ზოგი ამას ჟამთასვლის სიავესა და ულმობელობას მიაწერდა. რაღა თქმა უნდა, დროთა დამანგრეველი სრბოლაც ტოვებდა თავის კვალს, მაგრამ მეტი სიავე მოჰქონდა გულგრილობას და განუკითხაობას. ცოდვა, მიუტევებელი ცოდვა იქნა ჩადენილი. მართალია, გასული საუკუნის ბოლო მეოთხედში ზოგზოგი თითქოს გონს მოეგო, დაიწყეს უკვე იავარქმნილ და ნამუსრალ ძველი თბილისის უბნების აღდგენა-რესტავრირება, მაგრამ ეს კეთილშობილური მცდელობა უკვე განსვენებულის ზიზილ-პიპილოებით მორთვას უფრო ემსგავსა, რამეთუ სულის აღდგენა შეუძლებელია. და მწარედ აგვიხდა ის სიტყვები, ამ ოცდათვრამეტი წლის წინ (ჰაუ, რა დრო გასულა!), რომ ვწერდი ერთ ჩემს კინორეცენზიაში, რომელიც ეძღვნებოდა უნიჭიერესი, თხემით-ტერფამდე თბილისელი ხელოვნის, მიხეილ ჭიაურელის ფილმს - „რაც

გინახავს, ვეღარ ნახავ“, აქვსენტი ცაგარლის უბერებელი პიესის ეკრანულ ხორცშესხმას: „დრო და ახლის შემტევი ძალა, - ვწერდი მაშინ, - ისე მოსრავს წარსულის ნაშთებს, რომ მალე, ალბათ, კინოშიც კი სანატრელი გაგვიხდება ძველი თბილისის ცოცხალი ნატურის ხილვა. გამოხდება ხანი და სასოებით ვნახავთ ამ ფილმის ბევრ კადრს, რომლებშიც თითქოს პირველქმნილი უშუალობით წარმოგვიდგება ძველი თბილისის საოცარი კოლორიტი, მისი სიკეთე და ცოდვისშვილობა, პატიოსნება და ხელმრუდობა, გაურანდავი ხუმრობა და ალალი გული. ერთი სიტყვით, ძველი ქალაქის მართალი სახეც და ფერუმარილიც...“

ახლა ეს ჩემი დიდი ხნის წინანდელი კინორეცენზია და კომედიოგრაფი აქვსენტი ცაგარლის პიესაც გამახსენა ქართული კლასიკური დრამატურგიის კიდევ ერთი ნიმუშის - „ხანუმას“ მოულოდნელმა დადგმამ ნიუ-იორკში, ბუხარელ-ებრაელ ემიგრანტ სცენის მოყვარულთა თეატრ „აღორძინებაში“. ვინ იფიქრებდა, რომ აქ, ოკეანის გამოღმა, გუძონის პირას კვლავ ვიხილავდით ძველი თბილისის გაუხუნარ კოლორიტულ სახეებს.

მართლა საოცარი ხალხია ეს ბუხარლები, ოდენ დაუზარელი გარჯითა და ხელხვავიანობით კი არა, არამედ თავიანთი კულტურული ტრადიციებისა და თვითმყოფობისადმი ზრუნვითა და წარმოჩენისაკენ სწრაფვითაც. არაფერს ვამბობ მათ მეცნიერ-ისტორიკოსთა წიგნებისა და ბეჭდვითი გამოცემების სიმრავლეზე, მაგრამ აგერ უკვე ცხრა წელია არსებობს და წარმატებით მოღვაწეობს ბუხარელ-ებრაელ სცენის მოყვარულთა თეატრალური დასი, რომელსაც სათავეში უდგას უზბეკეთის დამსახურებული არტისტი, რეჟისორი სემიონ აულოვი. დაიდგა ცხრა სპექტაკლი, მათ შორის - „ხანუმა“, რომელსაც მაყურებლისა და პრესის განსაკუთრებული აღიარება ხვდა. თავად რეჟისორი კი ამბობს: „ხანუმას“ სცენური ხორცშესხმით მიზნად ვისახავდი ნიუ-იორკში ბუხარელ და ქართველ ებრაელთა თემების კიდევ უფრო დაახლოებასა და შეკავშირებასო. უდავოდ, კეთილშობილური მიზანსწრაფვაა. თუმცაღა, ეტყობა, სპექტაკლის წარმატება მარტოდენ ამით არ უნდა იყოს განპირობებული. როგორც ჩანს, ცაგარლის კომედიაში ასახული სოციალური გარემო და სიტუაციები, მეტ-ნაკლებად განსხვავებული ეროვნული ნიშნების მიუხედავად, მაინც ერთნაირად დამახასიათებელი და ნაცნობი ყოფილა სხვადასხვა კუთხის ხალხებისათვის“.

„ხანუმაში“ მოქმედება ხდება მე-19 საუკუნის ბოლო მეოთხედში. გადავარდნილია ბატონ-ყმობა, გადაშენების გზაზეა ფეოდალიზმის ინსტიტუტი. შემოჭრილა და ფეხს იკიდებს სავაჭრო კაპიტალიზმი. დეგრადაციას განიცდის თავადაზნაურობა. უკვე რახანია უიმედოდაა დაგირავებული ბანკებში მათი მამულები, მთელი ქონება და ავლადიდება, თვით საგვარეულო რელიქვიებიც კი - ტრადიციულ ვერცხლის ქამარ-ხანჯალ-დამბაჩამდე. არადა, კუდი მაინც ყავარზე აქვთ გადებული, ღვინის სმასა და ქეიფს ვერ თმობენ, გარჯა-სამსახურს თაკილობენ კვლავინდებური ამპარტავნობით, სინამდვილეში კი მდიდარ მზითვებიან ქალების ცოლად შერთვაში ეძებენ შველას, სუფრებზეც მღერიან გულახდილად, შეღვიანებულ-შეზარხოშებულები:

„გინდა იყოს გონჯი, გინდაც
ჰგავდეს კუნძსა, ოღონდ ჰქონდეს ფული, ვითხოვ,
ღმერთი-რჯული...“

მეორე მხრივ კი, ოდესმე ქალაქის მშვენებისა და „მარილის“ - ყარაჩოხელების დაკნინებული მოდგმის - კინტოს ნაშიერ, გაქსუებულ ჩარჩ-ვაჭრებს ოქრო-ვერცხლით გაუვსიათ თავიანთი მამაპაპური ძველი ზანდუკები, თავდაჯერებული და, ცოტა არ იყოს, დამცინავებიც არიან, რაკიღა ახლა ყველასი და ყველაფრის ყიდვა შეიძლება ფულით. ოღონდ ის კია, რომ ღალატობთ საკუთარი მდაბიური გვარისშვილობა, აკლიათ ტიტულები, პრესტიჟული წოდებები, ეპოლეტებს და ჩინ-მედლებს ნატრულობენ. და არაფერს იშურებენ ე. წ. „ღერბიან“ მაღალ საზოგადოებაში გასარევად „კეთილშობილთა წრეებში“ შესასვლელად. მათი იმედიც თავიანთი, უკვე „ფრანცუზულად“ გაზრდილი ქალიშვილების სარფიანად გასაღება-გათხოვებაა. არა უჭირს, თუ „ღერბიანი“ სასიძო უკვე მიხრწნილი, თავქარიანი და ჯიბეგამოფერთხილია, ოღონდ „ღენერალი თუ არა, აფიცერი მაინც იყოს.“

და ორივე მხარისათვის, - როგორც გუდაფშუტა დიდგვაროვნებისათვის, ისე ფულით გატენილ ტომარა ქორვაჭრებისათვის, - შეუცვლელი და აუცილებელი ხდება გაქნილი და ხერხიანი შუამავალ-გამრიგებელი, ანუ მაჭანკალი.

ასე გაჩნდა ძველი თბილისის ყველაზე ცნობილი და ყბადაღებული პერსონაჟი ხანუმა - ცბიერი და თვალთმაქცი, ეზო-ეზო და კარდაკარ მოსიარულე, ყველგან და ყველაფერში ჩახედული, არავისი რომ არა გამოეპარება რა, იცის როგორ შერთოს მზითვებიანი გონჯი გადაყრუებულ დიდგვაროვანს და უმზითვო ლამაზმანი გააზნაურებულ მდაბიოს.

და თვალმახვილმა კომედიოგრაფმა აქვსენტი ცაგარელმა შესანიშნავი პიესაც დაწერა მის ოინებზე, მისგან გაცურებულ ყეყეჩებსა თუ გაბედნიერებულ შეყვარებულ წყვილებზე. ისინი უკვე ას წელზე მეტია ცოცხლობენ სცენაზე. განა არა, ქართულ თეატრში ამ თემაზე სხვაც არაერთი კომედიური პიესა თუ ვოდევილი დადგმულა, მათ შორის -

ცრემლნარევი „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი“ - ლავრენტი არდაზიანისა, მაგრამ ყველაზე გამძლე და პოპულარული მაინც „ხანუმა“ აღმოჩნდა - თავისი მართალი ხალხური ხასიათებით, გონებამახვილი კომიკური სიტუაციებით და კვიმატი დიალოგებით, ძირმომპალი ადათ-წესების ქირდვა-ქილიკით და გამწკეპლავი, უარმყოფელი სიცილით. დიახ, სიცილი ერჩიათ. და თუ იკითხავთ - რატომ მაინც და მაინც სიცილიო, სოციალურ მსხვრევას ხომ ადამიანთა ბედ-იღბლისა და სულიერი მსხვრევაც მოჰყვებოდაო. - მაშინ გავიხსენოთ ერთი ბრძენკაც-ფილოსოფოსის ნათქვამი - „კაცობრიობა სიცილით ეთხოვება თავის წარსულს“.

თეატრალურ სცენაზე პიესის განსაკუთრებულმა წარმატებამ და მისდამი მაყურებლის სიყვარულმა განაპირობეს, რომ გასული საუკუნის 20იან წლებში „ხანუმა“ ფილმადაც გადაიღეს - იმჟამინდელი ქართული ეკრანის „ვარსკვლავების“ - კოტე მიქაბერიძის, თამარ ბოლქვაძის, მიშა ჭიაურელის მონაწილეობით და ეს სურათი ჩვენებური ადრეული კინოკომედიის საუკეთესო ნიმუშადაა აღიარებული ეროვნული კინოს ისტორიაში.

შემდეგ „ხანუმას“ მოტივებზე კომპოზიტორმა ვიქტორ დოლიძემ შექმნა არაჩვეულებრივად ხალისიანი და მჩქეფარე კომედიური ოპერა „ქეთო და კოტე“, რომელშიც ახლებურად ჟღერდა ძველთბილისური მუსიკალური ფოლკლორის ჰანგები, ცოცხლდებოდა ქალაქური ქორეოგრაფია, ისმოდა თბილისური სულის გადამრჩენელი მხიარული სიცილ-კისკისი.

მოგვიანებით კი (ეს უკვე ომისშემდგომი პირველი წლები იყო) ცაგარლის პიესაც და დოლიძის ოპერაც ერთად საფუძვლად დაედო ქართული კინოს თვალსაჩინო, შეიძლება ითქვას, ყველაზე მზიურ ფილმს - „ქეთო და კოტეს“, რომელიც იმთავითვე აიტაცა და, რომ იტყვიან, გულში ჩაიხუტა სიცილსა და ლამაზ, რომანტიკულ სანახაობას მონატრებულმა ომგამოვლილმა მაყურებელმა და ეს სიყვარული მას დღემდე არ განელებია. სცენარი შექმნა ძველი თბილისის ყოფისა და ფოლკლორის შესანიშნავმა მცოდნემ, მწერალმა სიკო ფაშალიშვილმა, დადგმა კი განახორციელეს იმჟამად ახალგაზრდა, ნიჭიერმა და თეატრალურ ხელოვნებაში უკვე აღიარებულმა რეჟისორმა ვახტანგ ტაბლიაშვილმა და პარიზში, ჟან ვილარის სახელოვან დასში წვრთნაგამოვლილმა შალვა გედევანიშვილმა. ყოველგვარი ყალბი თავმდაბლობის გარეშე უნდა ითქვას: „ქეთო და კოტე“ არაფრით - არც მდიდრულობით და არც მხატვრული შესრულებით, არ ჩამოუვარდება იმ დროის ჰოლივუდში გადაღებულ მიუზიკლებს და, იქნებ, კიდევაც ჯობნიდეს მათ თავისი ბუნებრიობით და უშუალობით, რამეთუ ეს ქართული ფილმი გადაღებულია ცოცხალ და არაჩვეულებრივად მომხიბლავ რეალურ გარემოში, რითაც ნამდვილ ისტორიულ დოკუმენტად რჩება. იგი მაყურებელს ხიბლავს არა შუქ-ეფექტებით, თვალმომჭრელი დეკორაციებითა და ბუტაფორიებით, არამედ იმჟამად ჯერ კიდევ შემორჩენილი ნამდვილი სასახლეებით, ბრწყინვალე მოსარკული დარბაზებით თუ ვიწრო მიხვეულ-მოხვეულ ქუჩებში ჩადგმული, ხალხური არქიტექტურით ნაგები კოპწია სახლებით, ხის რიკულებიანი და თვითმყოფი ჩუქურთმებით დამშვენებული აივნებით. ფილმის ავტორებმა კიდევ უფრო გაამდიდრეს სურათის ლიტერატურული და მუსიკალური თავწყაროები თამამი პოეტური, ვოკალური და ქორეოგრაფიული დივერტისმენტებით. ამ მხრივ, თუნდაც, მარტოდენ ყარაჩოღელთა სცენები რად ღირს, მათი მრავალხმიანი - „მე რომ ვლოთობ, შენ რას გიშლი, ძმობილო“, ან ყოფილ მეფისნაცვლის სასახლის ეზო-ბაღში გადაღებული ღამის სერენადად წარმოდგენილი „მუხამბაზი“ - ღიღინით დაწყებული და რეჩიტატივით განვითარებული - „გინდ მეძინოს, მაინც სულში მიზიხარ, თვალს ავახელ - ზედ წამწამზე მიზიხარ...“ ან კიდევ, ბრწყინვალედ დადგმული ცეკვები: ილიკო სუხიშვილისა და შურა თოიძის - „ქართული“, ნინო რამიშვილის დაუვიწყარი - „ჯეირანი“, გიორგი შავგულიძის მიერ ვირტუოზულად შესრულებული - „ბაღდადური“, რომელშიც სულს იდგამდა მხატვარ ლადო გუდიაშვილის „ძველი თბილისის სურათების“ განუმეორებელი პლასტიკა. დაუმატეთ ამას ულამაზესი მედეა ჯაფარიძისა და ბათუ კრავეიშვილის - ქეთოს და კოტეს დუეტი, ვასო გოძიაშვილისა და გიორგი შევგულიძის - კინტოების ტანდემი, თამარ ჭავჭავაძის საოცარი ხიბლის იუმორით გათამაშებული ხანუმა, პეტრე ამირანაშვილის - გულზვიადი თავადი ლევანი, შალვა ღამბაშიძის გამჭრიახი ჭკუის სოდგაგარი მაკარი; თვით მცირე ეპიზოდურ როლებსა და მასობრივ სცენებშიც კი, - იმჟამინდელი ქართული თეატრისა და კინოს ბრწყინვალე მსახიობთა ნამდვილი თანავარსკვლავედი, თითოეული მათგანის თვალშეუდგამი ნიუანსებით აღსავსე და მკვეთრი არტისტული ინდივიდუალობით აღბეჭდილი უზადო სახეები, - და ადვილი წარმოსადგენია, თუ რამ განაპირობა ამ ფილმის დღეგრძელობა და პოპულარულობა. და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, ამ სურათითაც დადასტურდა „ხანუმას“ კიდევ ერთი, იმთავითვე თანდაყოლილი თვისება: დროთა სვლის კვალდაკვალ მისი სოციალურ-ესთეტიკური გარდასახვის, ცხოვრების სხვადასხვა პერიოდის მოთხოვნებთან ორგანულად შეხმიანების საოცარი უნარი.

უთუოდ, ამის შედეგიც იყო, რომ ფილმ „ქეთო

და კოტეს“ გადაღებიდან თითქოს სამი ათეული წლის შემდეგ, ცაგარლის ლამის მივიწყებული პიესა უკვე სცენურ მიუზიკლად გაიაზრა ქართული თეატრალური სკოლის განმაახლებელმა და ნოვატორმა, შესანიშნავმა რეჟისორმა მიხეილ თუმანიშვილმა. მან ძალზე ნიჭიერ და საყოველთაოდ აღიარებული კომპოზიტორის, გია ყანჩელის მუსიკის თანხლებით „ხანუმას“ ახლებური ვერსია წარმოადგინა რუსთაველის აკადემიური თეატრის სცენაზე. კლასიკურმა პიესამ ბუნებრივად მოირგო და მოიხდინა თანადროული სახეიერი; შეიცვალა და სხვაგვარად გადანაწილდა ძველი ლიტერატურული თავწყაროსეული აქცენტები, ლაღად განვითარდა მოქმედება. დახვეწილი მიზანსცენებით, დღევანდელობის პრიზმაში გარდატეხილი ძველ-თბილისური მელოდიებითა და მიხრა-მოხრის პლასტიკით, გონებამახვილი ხუმრობების კასკადით იკვეთებოდა პერსონაჟთა ხასიათები, რომლებშიც დუღდა და იკვესებოდა უნიჭიერეს მსახიობთა - ეროსი მანჯგალაძისა და სალომე ყანჩელის, რამაზ ჩხიკვაძისა და მედეა ჩახავას თვითმყოფი ტალანტი და ხელოვნება. სპექტაკლი ძველი თბილისის განუმეორებლობასთან კვლავ შეხვედრის სიხარულად და ზეიმად იქცა.

სულაც არ იყო მოულოდნელი, რომ „ხანუმას“ სწორედ ეს ახლებური ვერსია ირჩია და უკვე რუსულ ენაზე თარგმნილი, ლენინგრად-სანკტ-პეტერბურგის სახელმოხვეჭილი დრამატული თეატრის სცენაზე დადგა თბილისური სულისა და ქართულ თეატრში ფეხადგმულმა ნაცადმა რეჟისორმა გუგა ტოვსტონოგოვმა. სპექტაკლი იმჟამინდელმა რუსულმა თეატრალურმა კრიტიკამ და მადლიერმა მაყურებელმა სეზონის სენსაციად აღიქვა. მისი ჩანაწერი საკავშირო ტელე-ეკრანებზეც გავიდა წარმატებით. ოღონდ, ის კია, რომ ქართველი მაყურებელი ვერ ეგუებოდა და ყურს ვერ აჩვევდა ცაგარლის პერსონაჟთა სპეციფიკურად რუსული აქცენტებით მეტყველებას. ერთგვარ უხერხულობას იწვევდა ის გარემოებაც, რომ ტოვსტონოგოვის სპექტაკლში ძველი თბილისის ავლაბარი და მისი მკვიდრნი რატომღაც ხაზგასმულად სომხური იერისად გამოიყურებოდნენ, თავად ხანუმაც მარტოოდენ „ავლაბარის დიასახლისად“ მოინათლა და მის სახე-იერში „ჰაოსური“ მეტი იყო, ვიდრე „ქართლოსური“. სინამდვილეში კი, თბილისის ეს უძველესი უბანი ქართული და სომხური ქალაქური კულტურების რაღაც საოცარ სინთეზად წარმოგვიდგებოდა. მან წარმოშვა სრულიად განსხვავებული სოციალური ფენა, - სუფთა თბილის-ქალაქური სახე-იერისა, - თავისებური მეტყველების კილოთი, საკუთარი ზნე-ჩვეულებებითა და ადათ-წესებით, ცხოვრების ავ-კარგზე თავისი შეხედულებებით. და, რაც მთავარია, ქართულ ეროვნულ კულტურასთან გაერთიანებისა და მასთან შერწყმის შინაგანი მოსწრაფებით... სხვათა შორის, მისი ეს თვისებები ვლინდებოდა თბილისურ არქიტექტურაშიც, რომლის ნიმუშები დღემდეა შემორჩენილი არა მარტოოდენ მტკვრის მარცხენა ნაპირის უბნებში, არამედ ყოფილ „დვორცოვზე“, სოლოლაკში, ზემელსა თუ ვერაზე. ასე რომ, ავლაბარი, იქნებ, მართლა ჭრელი და ეკლექტიკური, - მაინც ნამდვილი თბილისური ფენომენი იყო და მისი მთლიანად მიკუთვნება-მიწერა ერთი რომელიმე ეროვნული კულტურისადმი აშკარა შეცდომა და მკრეხელობაც კია.

არადა, სულაც არ იყო გამორიცხული, რომ ამგვარ უნებურ გადახრას თუ ტენდენციას თავი ეჩინა სცენის მოყვარულთა ბუხარულ-ებრაული დასის სპექტაკლშიც. რადგან ცაგარლის “ხანუმას” ამ დადგმასაც პიესის სწორედ რუსული ვარიანტი უდევს საფუძვლად. და თუ ამჯერად, საბედნიეროდ, ეს საფრთხე არიდებული აღმოჩნდა, ამაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის ფაქიზად და ტაქტით შესრულებულ სცენოგრაფიას, რომელიც ჩვენს თანამემამულე და სისხლისმიერ ნიჭიერ მხატვარს სოსო ჯინჯიხაშვილს ეკუთვნის. უთუოდ აქვე უნდა აღინიშნოს: სპექტაკლის დამდგმელ სემიონ აულოვის, როგორც რეჟისორისა და საზოგადო მოღვაწის, ალღო და წინგახედულობა იმაშიც გამოვლინდა, რომ მან კონსულტანტად და მხატვრულ გამფორმებლად მიიწვია სოსო, ხელოვანი, რომელსაც პროფესიულად აქვს შესწავლილი და თავის გრაფიკულ თუ ფერწერულ ნამუშევრებში განცდით გადმოსცემს ძველი თბილისის კოლორიტულ სანახებს. იგი, აგრეთვე, კარგად იცნობს „ხანუმას“ იმ სცენურ-ეკრანულ „ბიოგრაფიასაც“, რომლის გაკვრით წარმოდგენაც ამ ჩანაწერებში ვცადე.

ჩემთვის ძვირფასია და დღემდე სიყვარულით ვინახავ სოსოს მიერ დიდი ხნის წინათ შექმნილ ფერად ლინოგრავიურების თბილისურ სერიას, რომელიც მან ემიგრაციაში წასვლამდე მაჩუქა. რა ვიცოდი მაშინ, რომ თურმე ამით მეთხოვებოდა. ისიც კარგად მახსოვს, ამ ნამუშევრებს თავის დროზე, თბილისის სამხატვრო გალერეაში „საგაზაფხულო გამოფენის“ ექსპოზიციის თავსართობისა და გახსნის პატივი რომ ხვდათ. იმის თქმაც თამამად შეიძლება, რომ თბილისურ მოტივებს, მეტადრე - ქალაქის ძველი უბნებისადმი ტრფიალსა და მათ ნოსტალგიურ გახსენებას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სოსო ჯინჯიხაშვილის მრავალწახნაგოვან შემოქმედებაში. მეპატიოს მოუთმენლობა, თუ აქვე გავამხელ, რომ იგი დღესაც გატაცებით მუშაობს საკმაოდ მოზრდილ ფერწერულ ტილოებზე, ფერად და შავ-თეთრ გრაფიკულ ნაწარმოებზე,

რომლებსაც ციკლად გაერთიანებულს თავად უწოდა „თბილისის მონატრება“ და რომლის დასრულებასა და ხილვასაც ცნობისწადილით ველით მისი ნიჭის თაყვანისმცემლები.

განა არა, სოსოს ადრეც არაერთგზის უცდია თავი თეატრალურ მხატვრობაში. აი, რატომ დაჰყვა იგი ხალისით ბუხარელ სცენის მოყვარულთა მიერ შემოთავაზებულ თანამშრომლობას და მთელი თვეების განმავლობაში ჩვეული ენთუზიაზმითა და გატაცებით უანგაროდ მოღვაწეობდა დასთან ერთად სპექტაკლ „ხანუმას“ მხატვრული სახე-იერის ჩამოსაყალიბებლად. შექმნა პერსონაჟთა გრიმისა და ჩაცმულობის ესკიზები, რომელთა მიხედვითაც, მისივე რჩევით, საქართველოში შეიკერა შესანიშნავი კოსტიუმები; მისი თავზე დგომით და მითითებებით გაკეთდა აქ, ნიუ-იორკში ძველი თბილისის ყოფისათვის დამახასიათებელი რეკვიზიტი; და, რაც მთავარია, სცენის საქუსარზე გადაჭიმა რვამეტრიანი პანო თბილის-ქალაქის დაუვიწყარი სანახებისა, რომელმაც, ფაქტობრივად, განსაზღვრა სპექტაკლის მთელი კოლორიტი და მხატვრული მომხიბლველობა.

მკითხველი მიხვდებოდა, ალბათ, რომ ამჯერად მე არ ვწერ თეატრალურ რეცენზიას, თუმცაღა, ბუხარელ-ებრაელ სცენის მოყვარულთა დასის მიერ განხორციელებული „ხანუმას“ დადგმა უთუოდ იმსახურებს სერიოზულ განსჯას და ქებასაც, ნიუ-იორკის რუსულენოვან პრესაში არცთუ ცოტა რამ ითქვა აღფრთოვანებით რეჟისორ აულოვისეულ გულმოხდენილ მიზანსცენებსა და რიტმის გრძნობაზე, მოქმედების დინამიურად განვითარების უნარზე, როლების შემსრულებელთა თვითმყოფ და ნიჭიერ თამაშზე, მთლიანად წარმოდგენისაგან გამოწვეულ სიხარულზე...

მე კი, უბრალოდ,
გიმხელთ ჩემს შთაბეჭდილებასა
და განცდას.

როდესაც გია ყანჩელის ნაცნობი მუსიკის თანხლებით გაიხსნა ფარდა და მაყურებლით გადავსებული დარბაზი პირველი ტაშით შეეგება სცენის სიღრმეში ამოშუქებულ სოსო ჯინჯიხაშვილის შთაგონებით შესრულებულ მხატვრულ პანოს თბილისის სანახებისას, ჩემდაუნებურად მეუფლებოდა რაღაც ცისფერი ზმანებანი, მეგონა, რომ აი, ახლა მის ფონზე, ჰაეროვანი სიმსუბუქით აცურდნენ გამჭვირვალე ლანდები ძველი თბილისის მკვიდრთა: ღირსეულად თავდაჭერილი ყარაჩოღელები - სისხამ დილით, მეარღნეების თანხლებით, ფაეტონებით რომ მიემართებოდნენ გოგირდის აბანოებისაკენ; ჩიხტიკოპით მორთული, ფერუმარილით სახეშელესილი ფაშფაშა კნეინები და მათი ქობამოვლებული ქოლგებით თვალებმოჩრდილული გასათხოვარი ასულები; ევროპულად გამოწყობილი ფრანტები და შავსერთუკიანი, პენსნეებიანი ჩინოვნიკები; სოვდაგრები - მსხვილმარცვლიანი კრიალოსნებით ხელში; ყველას და ყველაფრის გამკილავი ჭორიკანა დედაკაცები; დოინჯშემოყრილი კინტოები - ლურჯად მოხარშული მტკვრის „მურწა-ჭანარითა“ და „ხრამულით“ სავსე, ალიბუხარითა და ხართუთით დამშვენებული თავზეშემოდგმული ხის გობებით; რუსულ ეპოლეტებზე გაყიდული „კნიაზები“, რომელთა მსგავსებზეც უთქვამს ცხონებულ საიათნოვას: „გოგრა ვერ გახდება შირაზის შუშა, რაგინდ მაღლა თახჩაზედაც დააწყო“; დაბღვერილი პოლიციელები და „ნემსის ყუნწში გამძრომი“ ჯიბგირები; ორთაჭალის თვალებმაშხალა ტურფები და მათი ავან-ჩავანა ლოთი-შფოთი დარდიმანდები; თავთავიანთი სალოცავებისკენ გაშურებული ურიები, მუსლიმები, რუსი და ქართველი მართლმადიდებლები, გრიგორიანელი თუ კათოლიკი სომხები; მარჩიელები და ლამაზ საპატარძლოებზე თვალგაცეცებული მაჭანკლები; ქათქათა მერძევე დუხაბორი ქალები და პირზე შავ თავსაფარშემოკრული შინდისელი მემაწვნე დედაკაცები; სახეშემურული კოჯრელი მენახშირეები; გუდასტვირზე შაირმთქმელი რაჭველები და საზანდარსა თუ ჭიანურზე ბაიათების მომღერლები; შავნაბდიანი მეფანდურენი და ტანდაკუნთული მუშაითები; ეული სილუეტები წყნეთელი და ტაბახმელელი შავტუხა ბიჭებისა - გაზაფხულის მაცნე ლურჯი იებისა და ყოჩივარდების პაწია კონებით ხელში...

ერთი სიტყვით, - მეზმანებოდა თბილისში ასე უცნაურად თავმოყრილი ჭრელი და მოზიმზიმე მთელი მილეთი. და თითქოს წელთა უსასრულო შორეთიდან ყურთ ჩამესმოდა დიდი აშუღის აღფრთოვანებული შეძახილი:

- „რა ინდოეთს, რა ფრანგოეთს,
გენი მსგავსი სად იქნება.“

შემიძლია განა მადლიერი არ ვიყო ბუხარელი თეატრალებისა და ჩვენი ღვიძლი - უჩუმარი და რიდიანი, მართლა თბილისური ჯიგრის ხელოვანი კაცის, სოსო ჯინჯიხაშვილისა, ამ ზმანებათა გამოწვევისათვის, იმ გრძნობის გამძაფრებისათვის, რაც „ერთხელ ცხოვლად სულს დასჩნევია“, იმის მონატრებისათვის, რაც ოდესღაც ყოფილა თბილის-ქალაქი. ან როგორც მისი ტრფიალი და მეხოტბე, მგოსანი სოსო გრიშაშვილი იტყოდა:

„ეს პოეზიის ძველი აკვანი,
ეს დარდიმანდული ბოჰემა,
ეს საქართველოს მთრთოლვარე გული, ეს...“

დასაბამი და დასასრული მისდამი ჩვენი საერთო სიყვარულისა.

ბაღდასარიანი სუმბარ-მასპინძლობა

მედეა კახიძე

სერბიელმა გამოჩენილმა პოეტმა დესანკა მაქსიმოვიჩმა ჩემი ლექსები თავის მშობლიურ ენაზე თარგმნა და წიგნად დასტამბვისთანავე იუგოსლავიაში მიმიწვია. დესანკა სახელ-დიდი მწერალი გახლდათ, ქალაქი თუ სოფელი თავისთან ეწეოდა და ორი დღის ახალი ჩასული და დაღლილობა გამოუნელებელი სლოვენიაში გამაქანა მკითხველებთან.

ცაში ცუდი ამინდი წამოგვეწია და ლუბლიანას მაგივრად თვითმფრინავი სარაევოში იძულებით დაჯდა. დესანკა თვითმფრინავს აღარ ენდო, გზის გაგრძელება ავტობუსით გადავწყვიტეთ და ის ღამე სასტუმროში გავათენეთ.

დილით კიბეებზე ჩამოსვლისას ვიღაცამ ძახილი დამადევნა. უცხო მხარეში ნაცნობი ჩიტიც არ მეგულებოდა. მეგონა მომეყურა და ყურიც არ შემისადარებია.

უცებ წინ ჯანსუღ ჩარკვიანი ამესვეტა, ხმაზე გიცანიო და დიდიხნის გადახვეწილივით გადამეხვია. სიხარულის საბაბი, მართლაც რომ ქონდა. ჯიბეში ერთი დინარიც აღარ უჭყაოდა და ჩემი გამოჩენა სწორედ რომ დროული გახლდათ.

გაგულისებული და აბუსუსებული იყო, ასეთი ნირწამხდარი ჯანსუღი ჯერ არ მენახა.

ამნაირ დაუნახავობას მოსკოვშიც არ შევსწრებივარ, თავისუფალი ქვეყნის შვილი რომ ვიყო და წასვლა-წამოსვლა მე მეკითხებოდეს, დღესვე მივატოვებდი ფორუმს, უკანვე გავბრუნდებოდი და ამ გულგამოჭმულ "კრიჟანგებს" თვალით აღარ დავინახავდიო.

ორი დღეა მშიერი ვარ და შენი თავი ღმერთმა გამომიგზავნაო!

დილით ხელიგულისხელა ფუნთუშა და ჩაი, ერთ ლუკმად გადასაყლაპი ყველი, კარაქი და ჯემი, ეს არის ჩემი მთელი დღის სამყოფი ულუფაო.

ესენი სინდისგაღლეტილი ევროპელები არიან. ნომერშიც რომ ერთად იყოთ და გულითადი საუბრები გქონდეთ მინერალურ წყალზედაც არ მიგიპატიჟებენ. იციან რა ქოსამატყუარა სახელმწიფოდან ვარ წამოგზავნილი სამადლოდ, მხოლოდ ოცდაათ მანეთს რომ გვიხურდავებენ და ჯიბეგახვრეტილი საბჭოეთი მქვიაო.

შეიძურწებიან ცალკ-ცალკე რესტორანში, ტყის კაცებივით მარტონი მიუჯდებიან მაგიდას და თქვლეფავენ. ასეთი ურთიერთობები და პირუტყვის დონემდე დასული ქცევები პირველად მოვიხილეო!? ეს ძუნწები და წუწკები მხოლოდ საკუთარ ჯამში იყურებიან და ისე იქცევიან და ირჯებიან თითქოს ერთმანეთთან დაუბრებულები იყვნენო.

თვალები გამოვაჭყიტე, ჯერ დავაპირე მეთქვა, სადილის ფული ხომ ხელზე მოგცეს მოსკოვში და სხვის ხელში შესაყურებელი რა გაქვსო, მაგრამ სათქმელი გულში ჩავიბრუნე და უცებ მივხვდი, ჯანსუღმა ქართულად წაიდარდიმანდა, ფული სხვებს შეაჭამა და ცარიელზე დაჯდა. არც მოვტყუებულვარ. ხელგაშლილობას ნაჩვევი, ძირძველი ტრადიციების პატრონი ჯანსუღი გადარია მათმა გარდასგადასულმა პურაძვირობამ და გულგრილობამ. ცოტა ხანს უყურა გაქსუებულ, განგან მოსიარულე, კოხტაპრუწა ევროპელებს, კაპიკ-კაპიკ გამოზომილად რომ უხდიდნენ მომტანს. დინარებასა და შეკვეთებსაც სათითაოდ იძლეოდნენ და როცა ვახშმად ყველანი საერთო მაგიდას შემოუსხდნენ და თანამესუფრეებმა ცალკ-ცალკე მოინდომეს ანგარიშის გასწორება ჯანსუღს გუნება აემღვრა, ტანი აეჭინჭრა, ყურებმა შუილი დაუწყო, გულის სიმხურვალემ სძლია, ცერად აავლო თვალი გარშე მყოფებს და ჯიბისკენ თავისთავად გაექცა ხელი.

დესანკა მაქსიმოვიჩი

ჯანსუღ ჩარკვიანი

მომტანს თავისთან უხმო, რაც ებადა უკანასკნელ ხურდამდე ამოშალა დინარები და დანახარჯი გაისტუმრა. ისე იადვილა თხუთმეტი კაცის შეჯმულ-დალეულის გადახდა, თითქოს რესტორნის ბატონ-პატრონი თვითონ ყოფილიყოს.

წინ არავინ გადაღობებია, თვალები აახამხამეს და სკამებზე ჩაიცქნაფნენ, მერე ხელი გულითადად ჩამოართვეს და ნომრებში შელაგდნენ.

ვინ ყოფილან ეს შობელძაღლებიო, თავს აქნევდა გაწბილებული ჯანსუღი და გაკვირვებული თვალებით შემომცქეროდა.

დესანკა გაოგნებული გვათვალიერებდა, მოუთმენლად ელოდა მისი სიფიცხის შეტყობის მიზეზს, მაგრამ არაფერი მითქვამს. ჯანსუღი გვერდზე გავიყვანე, ჩანთა გავხსენი და რაც ფული მებადა ამოვყარე.

- შენი ავლადიდება რო ხელში შემაჩეჩე შენ რაღა გრჩება, ამდენი არ დამჭირდებაო, ფეხი უკან დაუდგა ჯანსუღს.

მე გავუქარწყლე, რა სარიდებელია, ჩემს ადგილზე შენც ამასვე მოიმოქმედებდი. რაც მოგრჩება შვილებს საჩუქრები უყიდე. ჩემი მასპინძელი დესანკა მაქსიმოვიჩია, შენ ვისი იმედით დაგტოვოო.

მუდამ ენამჭევრი ჯანსუღი დამუნჯდა, აღარ შემწინაარმდეგებია და გადაწყვეტით ჩაილაპარაკა, არც ერთმა არ ინამუსა და ყავის შემოთავაზებაზეც ხელი არ წაიცდინესო.

მერე უცბად რაღაც გაახსენდა და შეგვაჩერა, მოიცათ ნომერში ავირბენ და ახლავე ჩამოვალო. იმავე წუთს უკან ჩამობრუნდა და ხიზილალებით ხელდამშვენებული მიეახლა დესანკას. საჩუქრებად დასარიგებლად მქონდა ჩამოტანილი და უკეთეს მისამართს ვერ ვიპოვი, მაგისთვის ყველაზე უპრიანიაო!

ბედი ჰქონია, ლუბლიანაში მიმავლები რომ შემთხვევით ბოსნიაში აღმოვჩნდით. ეტყობა განგების ნების გარეშე მართლაც არაფერი ხდება ვუთხარი დესანკას და ჯანსუღის თავს გადახდენილი მოვუყევი. დესანკა გაწიწმატდა, შეკრების მონაწილეები აქაურები არ ეგონოს, ეგენი სხვადასხვა სახელმწიფოებიდან ჩამოხეტებული არიან, სერბები ამას არ იკადრებენ. დავბრუნდეთ და შენს მეგობარს ვამცნოთო.

ძლივს დავაშოშმინე, მაგალითი თვალწინ ჰყავხარ, რაღა დარწმუნება სჭირდება. ეგენი ჭრელი ხალხია, გროშს ვერ დააგდებინებ თავზე თოფითაც რომ დაადგეო.

ვიცნობ მაგ ძუნწ კარაპეტებსო, ვერ მშვიდდებოდა დესანკა. ჩვენ წამოვედით. ჯანსუღი სარაევოში კიდევ ერთი კვირა დარჩა და გულში ეჭვის ჭია მქონდა შემჯდარი, კვლავ ხომ არ შეახარჯა მათ უაღმატებულესობებს ჩემი მიცემული ფული და ხელმეორედ არ იმარხულა. ერთხელ კიდევ ხომ არა სცადა სტუმარ მასპინძლობის გაკვეთილი ჩაეტარებინა მათთვის, ვინც არ იცოდნენ, რომ სამყაროში არსებობს მცირემიწიანი სულდიდი რაინდებით დასახლებული ერთი მუჭა საქართველო, სადაც ლხინი უსიმღეროდ არ ჩაივლის, მარტო კაცი სუფრას არ მიუჯდება და არც ღვინოს შესვავს, თუ წინაპრების სულს არ მოიხსენიებს და შესანდობარს არ გაუგზავნის, რომ ეს ის ქვეყანაა სადაც უფლის კვართი მცხეთის ტაძარში ინახება და მეთორმეტე საუკუნეში რენესანსი ყვაოდა. ტახტზე ქალი მეფე თამარი იჯდა, მაშინ როცა დედაკაცის ხელმწიფობა კანონით იკრძალებოდა და ისიც, რომ თუ ევროპელები სტუმრის შემოსწრებას ღვთის წყრომად თვლიან, ქართველისთვის დიდი წყალობა და პატივია. ისინი მათ კარს ფართოდ უღებენ და გულითადად უმასპინძლდებიან, რადგან მტკიცედ სჯერად რომ „სტუმარი ღვთისაა".

დიახ, ქართველი კაცთმოყვარეა და მადლის გაცემა უყვედრელად და უსასყიდლოდ შეუძლია, ისევე როგორც მზე აძლევს სხივებს დედამიწას უნაგაროდ და დაუნანებლივ.

2001 წელი
ზინდელფინგენი

***

გიორგი შავგულიძის გარდაცვალებიდან 53 წელი გავიდა

გიორგი შავგულიძის გარდაცვალებიდან 53 წელი გავიდა. 1959 წლის 13 აპრილს ლეგენდარული ქართველი მსახიობი პლეხანოვის გამზირზე (ახლანდელი აღმაშენებლის გამზირი) სწრაფად მიმავალმა ტროლეიბუსმა იმსხვერპლა. ცნობილი ჟურნალისტი და ჟურნალ „ნიანგის“ ყოფილი მთავარი რედაქტორი ***ჟანი სიხარულიძე ერთ-ერთი იმათგანია, ვინც გარდაცვალებამდე რამდენიმე საათით ადრე ნახა ცნობილი მსახიობი:***



ჟანი სიხარულიძე

- ჟორა შავგულიძეს 1948 წლიდან ვიცნობდი. სხვა-თაშორის, როცა გავიცანი, მაშინაც გაზაფხული იდგა – 4 აპრილი. იმ საღამოს პირველი ვაჟი შემეძინა – მერაბ სიხაურულიძე. საშობიაროდან პირ-დაპირ რესტორან „ალაზანში“ წა-ვედი და ჩემს მეგობ-რებთან ერთად ვაჟის დაბადება აღვნიშნე (რესტორანი მდებარეობდა ორჯონიკიძის ქუჩისა და სადგურის ქუჩის – ახლანდელი თამარ მეფის გამზირის გადაკვეთაზე). მეზობელ მაგიდასთან ჟორა შავგულიძე იჯდა კონფერანსიე თემურ ხელაშვილთან ერთად. ჩემი პლეხანოველი მეგობრები გადაეხვივნენ ჟორას და უთხრეს, ჩვენს ძმაკაცს ჟანის ბიჭი შეეძინა და ვქეიფობთო. ჟორა და მისი თანამესუფრე ჩვენთან გადმოვიპატიჟეთ და დილამდე დუდუკებზე ვიქეიფეთ. ამ დღიდან ჟორა შავგულიძე ჩემი ახლობელი გახდა.

- გაიხსენეთ 1959 წლის 13 აპრილი, გიორგი შავგულიძის სიცოცხლის ბოლო დღე. 53 წელი გავიდა მას შემდეგ.

- 1959 წლის 13 აპრილს მშვენიერი ამინდი იდგა, მთელი თბილისი გარეთ იყო გამოსული. კინო „ოქტომბერში“ ფრანგული ფილმების ფესტივალი ტარდებოდა, ბილეთები არ იშოვებოდა, კინოს გარეთ გადამყიდველთა რიგი იდგა. მთელი თბილისი ამ ფესტივალზე ლაპარაკობდა. ამ დღეს ჟორა შავგულიძეს სრულიად შემთხვევით შევხვდი. მანქანა მყავდა, მწვანე ფერის „ჭიჭიკო-მოსკვიჩი“ (ნომერი 04-97 გრუ). ჩავისვი ჟორა მანქანაში და კინოში წასვლა გადავწყვიტეთ. მანქანა კარგარეთელის ქუჩაზე დავაყენე და კინო „ოქტომბრისკენ“ გავემართეთ. მაგრამ მანამდე სასაუზმეში შევედით, ბიჭიკო პაიჭაძემ დაგვპატიჟა სოსისზე, მწვადზე და ლუდზე. დილის 10-11 საათი იყო. წავიხემსეთ. როდესაც კინოთეატრში შევედით, რა თქმა უნდა, ბილეთები გაყიდული იყო. კინოთეატრის დირექტორმა სერგო ნებიერიძემ დარბაზში ორი სავარძელი გამოიტანა და კარგ ადგილას დაგვიდგა. სეანსი 12 საათზე იწყებოდა. სანამ შუქი ჩაქრებოდა, მთელი დარბაზი ჩვენ გვიყურებდა (სამწუხაროდ, აღარ მახსოვს, რა ფილმი ვნახეთ იმ დღეს მე და ჟორამ). ფილმის დასრულების შემდეგ დირექტორმა მეორე გასასვლელიდან გაგვიყვანა.

ჟორას იმ დღეს გადაღება ჰქონდა, ლევან ხოტივარი „განაჩენში“ იღებდა. კინოთეატრიდან გამოსულები ჩავსხედით მანქანაში და კინოსტუდიისკენ გავეშურეთ, ჟორა კინოსტუდიასთან მივიყვანე, დავემშვიდობე და გზა გავაგრძელე... როგორც აღმოჩნდა, ეს იყო ჩვენი ბოლო შეხვედრა, მალე ჟორა შავგულიძე ტრაგიკულად დაიღუპა. ჩემთვის ეს იყო შოკი. ჟორა მაშინ 49 წლის იყო, მე კი - 29 წლის.

კინოსტუდიიდან გამოსვლის შემდეგ ჟორა თეატრში ფეხით წასულა. მაშინ კინოსტუდია ახლანდელი თუმანიშვილის თეატრთან მდებარეობდა (დიღმის კინოსტუდია ჯერ არ იყო აშენებული). რესტორან „ჟიზნისთან“ ნაცნობები შეხვედრია, რომლებთან ერთადაც ამავე რესტორანში შესულა.

- სად მდებარეობდა ეს რესტორანი?

- მოზარდმაყურებელთა თეატრის მოპირდაპირე შენობაში. იქიდან გამოსული მცირე ხანს ქუჩაში შეყოვნებულა, ვიღაცა დალაპარაკებია, ამავე დროს გზის მეორე მხრიდანაც ვიღაც ნაცნობს დაუძახია.

მიტრიალებულა თუ არა, სწრაფად მომავალ ტროლეიბუსსაც ჩაუქროლია... აი, ეს ტროლეიბუსი დაეჯახა ამ ულამაზეს და უნიჭიერეს კაცს, პირველი ნომერი ტროლეიბუსი იყო, რომელსაც ასეთი მარშრუტი ჰქონდა: სტადიონიდან გაივლიდა პლეხანოვის გამზირს, უხვევდა მარქსის მოედანზე და ისევ უკან ბრუნდებოდა. ასე ვთქვათ, სასწავლო მარშრუტი იყო, არც ბევრი ხალხი მგზავრობდა ამ ტროლეიბუსით... ავარიის შემდეგ ტროლეიბუსის მძღოლი თავს იკლავდა, ჩემი საყვარელი მსახიობი ჟორა შავგულიძე ჩემი ხელით როგორ უნდა მომკვდარიყოო.

არ დამავიწყდება ჟორა შავგულიძის გასვენება. ყველა გამოჩენილი ადამიანის გასვენებაში მიმიღია მონაწილეობა, მაგრამ ასეთი პროცესია ჯერ არ მახსოვს. მიცვალებული დიდუბის პანთეონში რომ შეასვენეს, მარჯანიშვილის თეატრთან ისევ ხალხის დინება იყო.

- რამდენადაც ცნობილია, „განაჩენში“ გიორგი შავგულიძის როლი (ბოლო ეპიზოდში) სხვამ ითამაშა...

- დიახ. ფილმში ბოლო ეპიზოდში მონაწილეობა ერთ მსახიობს შესთავაზეს, მაგრამ ჟორას გმირის შესრულებისთვის (მის სამარცხვინოდ!) საკმაო თანხა მოუთხოვია. რეჟისორმა ის მსახიობი არ გადაიღო. ბოლოს სომეხმა ტაქსის მძღოლმა სრულიად უსასყიდლოდ ითამაშა, შავგულიძის როლში ფულს როგორ ავიღებო, უთქვამს...

მარჯანიშვილის თეატრთან როდესაც გავივლი, ყოველთვის მახსენდება ჩვენი საყვარელი მსახიობი ჟორა შავგულიძე, თვალწინ მიდგას მისი ნათელი სახე. მეზობელ შენობებში ვმუშაობდით, ის მარჯანიშვილის თეატრში თამაშობდა, მე – ამ თეატრის მოპირდაპირედ გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოში“ საწარმოო განყოფილების უფროსი გახლდით. თეატრის წინ ხშირად ვხედავდი ხაკისფერ ტანსაცმელსა და „აზიაცკებში“ გამოწყობილ ულამაზეს ქართველ ვაჟკაცს, რომელსაც წელზე ბრტყელი ქამარი ერტყა და რომელზეც გიჟდებოდნენ ქალიშვილები. რეპეტიცია თუ არ ჰქონდა, თეატრის წინ მსახიობებთან ერთად იდგა. ჩემი თანამშრომელი გოგონები დაინახავდნენ თუ არა, ფანჯრებს ვერ სწყდებოდნენ, რეპლიკებს ხმამაღლა ამბობდნენ, ჟორას რომ ზემოთ ამოეხედა. საყვარელი მსახიობი ახლოდან რომ შეეთვალიერებინათ, ქუჩაში მოსიარულენიც სპეციალურად იმ გზით გაივლიდნენ, სადაც შავგულიძე იდგა. როდესაც ის გარდაიცვალა, სესილია თაყაიშვილმა თქვა, ჟორა ისეთი გარეგნობის იყო, იმას მოხუცს ვერ წარმოვიდგენდიო...

იმ საბედისწერო დღეს კინოსტუდიაში მისული გიორგი შავგულიძე საგრიმიორო ოთახში ჩაფიქრებული მჯდარა. მოგვიანებით ლეილა აბაშიძე გაიხსენებს: - ვიფიქრე, ალბათ, ნაქეიფარია და სანამ გრიმს გაიკეთებს, ისვენებს-მეთქი. არაფერი მითქვამს, მეც დავჯექი და გრიმის გაკეთება დავიწყე. ჟორამ გამომხედა და მკითხა: უკვე აქა ხარ? კაცო, წუხელ შალვა დადიანი დამესიზმრა, პლეხანოვზე რესტორანში დასალევად მეპატიჟებოდა. რა ჩემი ძმაკაცია, ალბათ, დიდხანს ვერ ვიცოცხლებო. ბატონო ჟორა, როგორ გეკადრებათ, რა დროს თქვენი სიკვდილია-მეთქი. მეორე დღეს ისევ კინოსტუდიაში ვიყავი, როდესაც მითხრეს, ჟორა შავგულიძეს პლეხანოვზე ტროლეიბუსი დაეჯახაო!

13 აპრილს გიორგი შავგულიძის გარდაცვალებიდან 53 წელი სრულდება. ხელოვნების მოყვარულთათვის 12 აპრილიც საიუბილეო დღეა, ამ დღეს დაიბადა დიდი ქართველი მომღერალი ზურაბ ანჯაფარიძე და, ღმერთის ნებით, საკუთარ დაბადების დღეზე, 12 აპრილს აღესრულა. მსუბუქი იყოს ამ ორი შესანიშნავი ქართველისთვის სამშობლოს მიწა.



ნუკრი შავგულიძე

გიორგი შავგულიძის ვაჟი: - იმ დღეს გადაღება არ შედგა. ნაცნობმა რესტორანში დაპატიჟა. სუფრასთან ახალი დამსხდრები იყვნენ, როდესაც მათ მაგიდასთან მაწანწალა მივიდა და პური ითხოვა. მასპინძელმა მათხოვარი კინწისკვრით გარეთ

გააგდო. ასეთმა საქციელმა ძალიან გააღიზიანა მამაჩემი, აწეული ჭიქა მაგიდაზე დააბრუნა და გაბრაზებული გარეთ გამოვიდა. ამ დროს საიდანღაც გამოჩნდა ის საბედისწერო ტროლეიბუსი და მოხდა ტრაგედია. დარტყმამ მამა 20 მეტრზე გასტყორცნა, მაშინვე გარდაიცვალა. სასოწარკვეთილი მძღოლი ყვიროდა: ჩამქოლეთ, მომკალით, ჩემი საყვარელი მსახიობი მოვკალიო... სასამართლომ 5 წელი მიუსაჯა. ციხიდან გამოსვლის შემდეგ შემთხვევით სუფრაზე შევხვდი იმ კაცს, მაშინაც იტირა...

იმ დღეს გიორგი შავგულიძეს შავი გრძელი პალტო ეცვა, თავზე ეხურა რუხი ფერის თხელი შლაპა, ჯიბეში ჰქონდა „განაჩენის“ სცენარი, სათვალე, მაჯაზე ეკეთა საათი „პობედა“. ტროლეიბუსის მძღოლისთვის ოჯახს არ უჩივლია, ერთადერთი – საათი და სათვალე ითხოვეს, როგორც ძვირფასი ადამიანის სამახსოვრო ნივთები. სამწუხაროდ, ეს ნივთები ოჯახისთვის არ დაუბრუნებიათ.

ბოლოთქმა

ბედის ირონიით, 1959 წლის 13 აპრილს, იმ დროს, როდესაც ტრაგედია მოხდა, გიორგი შავგულიძის მეუღლე ლიზიკო ვაჩნაძე მარჯანიშვილის თეატრში სპექტაკლში თამაშობდა, მისი გმირი სასოწარკვეთილი გოდებდა: რა უბედური ვყოფილვარო... 40 წლის შემდეგ, 1999 წლის 13 მარტს, გუდაურში მოკლეს გიორგი შავგულიძის შვილიშვილი, 24 წლის გიორგი შავგულიძე-უმცროსი.

ესაუბრა
ქეთევან ხამიცაშვილი

მოხევის სადღეგრძელო

გოდერძი ჩოხელი

აყაყანებულ ქორწილის სუფრაზე შუახნის მოხევემ სუფრის თამადას ერთი სადღეგრძელოს თქმის უფლება სთხოვა და თანხმობა მიიღო. თამადა ფეხზე წამოდგა, ჩანგალი თეფშზე დააწკრიალა, რომ ხალხის ყურადღება მიეპყრო და გამოაცხადა:

- ხალხო, ჩვენ მოხევეს სადღეგრძელოს თქმა სურს, თუ შეიძლება მოვუსმინოთ!

მოხევის გაგონებაზე ახმაურებული მექორწილენი უცებ გაჩუმდნენ და ყველამ იქეთ გაიხედა, სადაც მოხევე წამოდგა და განსხვავებული სასმისი მოითხოვა.

რატომღაც ყველა მოელოდა, რომ მოხევე ხევის მთებივით მაღალი და მხარბეჭიანი იქნებოდა. მათ წინ კი შუახანს მიღწეული, გამხდარი, დაბალი ტანის კაცი იდგა. თუმცა სიგამხდრე და სიდაბლე სიჩიავის შთაბეჭდილებას არ უტოვებდა მოხევეს. პირიქით, ამ ხალხში იგი გამოირჩეოდა კიდეც თავისი დგომით, მზერით, რომელიც მისი მკვირცხლი თვალებიდან გამოკრთოდა, და დაძარღვული სხეულით. იგი ღვედივით მოქნილი ჩანდა და სასმისის მოლოდინში მთის ფოცხვერივით იყო გაყურსული.

კახური ღვინით გავსებული ჯიხვის რქა მოართვეს მოხევეს, რომელმაც ყანწი ჩამოართვა მომწოდებელს და ორივე ხელით მაგრად ჩაბღუჯა. სიტყვის თქმამდე რამდენიმე წამს უფრო დაიძარღვა და გაიყურსა, როგორც ავაზა გაიყურსება ხოლმე ნადირობის ჟამს. თითქოს სადღეგრძელოს თქმისათვის კი არა, ნახტომისათვის ემზადებოდა მოხევე.

ხალხიც უფრო გაისუსა. ისინი მოხევისაგან მოელოდნენ, რაღაც დიდ მჭერმეტყველებას, სადღეგრძელოს, რომელიც სავსე იქნებოდა მთის ყვავილებივით ლამაზი სიტყვებით. მოხევემ კი სულ რამდენიმე სიტყვით წარმოთქვა სადღეგრძელო:

გოდერძი ჩოხელი

- ხალხნოო! მოდი, მღვრიემდე გაგვიმარჯვას! - თქვა ეს და ყანწის მოყუდება დააპირა.

- თუ შეიძლება, ვერ გავიგეთ?! - მიმართა თამადამ და მოხევემ ყანწი ტუჩებიდან მოიშორა.

- იქნებ გაგვიმარტოთ, რა სადღეგრძელო თქვით, ვერაფერი ვერ გავიგეთ, - ზრდილობიანად, მაგრამ აშკარად დამცინავად მიმართა თამადამ. მოხევემ იმწუთას იგრძნო თამადის დამცინავი ტონი და ხალხს მიმართა:

- ხალხნო, ვერც თქვენ გაიგეთ?

- ვერა, ვერა, ვერ გავიგეთ! - წამოიძახეს აქეთ-იქიდან.

- კარგით, მაშინ გრძლად გეტყვით, რაღა იქნება, - თქვა მოხევემ, ერთ ხანს ისევ გაისუსა და დაიწყო:

- ღმერთის მადლმა და ქვეყნის მადლმა, აი, ამ პურ-ღვინის მადლმა, გული არ მეცინის, ძრიალ მიყორს ჩვენი სამშობლო. იმისი მთაც და იმისი ბარიც. მთა ბარით არის და ბარი - მთით, როგორც კაცი - კაცით. ძრიალ მიყორს ჩვენი ბუნება, მაგრამ ერთ რამეჩი უნდა გამაგიტყდეთ: ხანდახან ვნადირობ, ჯიხვებსა ვხოცავ. ეს იცოდა მთელმა ხევმაც და კაკებეს რომ ეძახდნენ, იმათაც. მაგზავნილიც მყვანდნენ სათვალთვალოდ კაცები, მაგრამ ეგრე იოლად მთაჩი ნადირს ვინ დაუდგება და თერგჩი კიდევ - კალმახსა. ეგრე ვიყავ მეცა. სახლში თოფს როგორ მოვიტანდი და ნანადირევს კიდავ დღისითა. ვფხიზლობდი, ისე ვხოცდიკე ჯიხვებსა.

ერთხელაც, დილაადრიან, მაშინაი მაადგა ჩემს სახლსა. დამიძახეს. გამოვე გარეთა.

- სანადიროდ უნდა შახვიდე, - მეუბნება ბრძანების კილოთი ერთ-ერთი. მივხვდი, ვინც იყვნენ.

- რაი სანადიროდ, ან თოფი სადა მაქვს, ან ნადირობისა რა გამეგება?! - გავიკვირვე ყასიდად.

- აი თოფი და ნადირობა რო იცი, იმიტომ მოვედით შენთან. სასწრაფო საქმეა, თვითმფრინავი გველოდება თბილისში, რამდენიმე საათში ჯიხვი უნდა ჩამოგვიტანო მთებიდან და სხვა ქვეყანაში უნდა გავგზავნოთ თვითმფრინავით დიდი კაცის დაბადების დღეზე.

მაშინ კომუნისტები რო იყვნენ და აღარ ვიცი, რომელ ქვეყანაჩი აგზავნიდნენ ჯიხვს, მგონი ტიტოს, ან თუ არ ვცდები, ჩაუშესკუს რო ეძახოდნენ, მგონი, ერთ-ერთის დაბადების დღეზე. ეს იმიტომ გამიმხილეს, რომ მე გამეგო, რამდენად სერიოზულ საქმეზე იყვნენ ჩემთან მოსულნი, დავნდობოდი და რაც შეიძლება ჩქარა ჩამამეტანა მთებიდან ჯიხვი.

შავბრუნდი შინა, უცებ გავემზადე. ან რაი გამზადება მინდოდა, წრიაპები ავიღე და გამოვე. ჩავსხედით მაშინაჩი, ჩავედით დარიალას, გავაჩერებინე ხდის ხეობის ასასვლელში, ავიღე იმათ მატანილი თოფი და შაუყვე აღმართსა. ზურგითა ვგრძნობ, რო დურბინდით შამამცქერიან მაშინაიდან. უფრო ავუჩქარე ფეხსა, თან თოფს ვათოლიერებ გზადაგზა. ჩემ სიცოცხლეჩი ესეთი თოფი არ მინახავს, არა მჭერია ხელჩია. სამიზნის ზემოთ დურბინდი ჰქონდა, რო გავხედე, ეგრე გამოჩნდა შიგ ხდის მწვერვალები, როგორც ხელისგულზე - თითები. ერთ ალაგას ჯიხვები შევამჩნიე და იქით ავუყვე აღმართსა. ვჩქარობ, რაკი თავს ვიდევ ეს საქმე, ხალხი არ მინდა გავაწბილო. ჯიხვებმა დამინახეს და დაფრთხნენ, ჭიუხის კანჭახებს აუყვნენ აღმა. გული ამოვარდნასა მაქვს, ისე შავრბივარ. მამწყურდა წყალი, პირი მიშრება. უცებ, ჩემს წინ, კლდეში წვეთ-წვეთად მომავალი სისველე დავინახე. კლდიდან გამომავალი წყლის წვეთები ხელისგულჩი ჩავიგუბე და დავეწაფე. დამიამდა სიგრილით გული. ჩემი ხელისგულიდან კლდეზე ჩამდინარე წყლის წვეთებს თოლი გავაყოლე ქვემოთ და რას ვხედავ? ის წყლის წვეთები სხვა

წვეთებს ერთვიან, მრავლდებიან, ნაკადულს ქმნიან და ბროლივით მიიმსხვრევიან კლდეზე. გზადაგზა კიდევ ასეთივე ნაკადულები უერთდებიან და ხდის ხეობაში იყრებიან ერთადა. მყინვარის შუბლივით თეთრი და სუფთა მიდის ქვემოთ ხდის წყალი. მიდის, ისიც ბროლივით მიიმსხვრევა. თოფზე დატანებული ღურბინდით ჩავცქირე ამ წყალსა და ელდა მეცა - დავინახე, თითქოს პირველად მენახოს, როგორ უერთდება ეს სუფთა და კამკამა წყალი მღვრიე თერგსა. ერევა და ცოტა ხანს თეთრ ზოლად მისდევს, არ უნდა ამღვრევა, სისუფთავე სწადია, მაგრამ მეტი გზა არა აქვს, ისიც თერგივით იმღვრევა მალედვე.

გული დამწყდა.

ჩამოვჯექ.

რაი ვქნა, არ ვიცი. შამნანდნენ ჯიხვები სასიკვდილოდ. ჩავცქირე ღურბინდით და დავინახე მაშინაი.

ავდექი და ხელცარიელი წამოვე ქვემოთა. ჩავაბარე თავის თოფი. მონუსხული მზერით შამამყურებდნენ.

- თუ არ შეგეძლო, გეთქვა და სხვას ვეტყოდით, - მეუბნება ერთ-ერთი.

- უთხარით მერე, მონადირეების მეტი რაია.

- ეხლა რაღა დროსია, დაგვაგვიანდა, - ჩაიბუზღუნა ისრივ იმ კაცმა, ჩასხდნენ მაშინაჩი და წავიდნენ. მე იქვე დამტოვეს, დარიალასა. არც წავყებოდი, ხდის წყალთა ყოფნა მერჩია. ჩავყევი ბროლივით თეთრ ნაკადულსა, მივე იმ ადგილას, სადაც მღვრიე თერგს უერთდებოდა, ჩავიჩოქე და წყალს იმ ადგილას ვაკოცე თეთრ ყელჩი, რომლის იქითაც მღვრიე იწყებოდა. ჩემი ბალღობა გამახსენდა და ტირილი მამინდა. ბალღები სუფთა იბადებიან, ადამიანებს მერე გვემღვრევა სული. თანდათან ცოდვებით მღვრიე ცხოვრებას ვუერთდებით და იმადა. იმ ხდის წყალივით მეტი გზა არა გვაქვს. პეშვით შავსვი სუფთა წყალი და წამოვე. იმ დღის მერე ვსვამ ამ სადღეგრძელოს, რაიც იმ გაგებაჩი გამაიხატება, რომ მანამ სული სუფთა გვაქვს, გული სუფთა გვაქვს, სუფთა საქმეებს ვაკეთებთ და ისე არ ავიმღვრევით, რო ვეღარ ვგებულობთ, საით მივდივართ, რატო და რისთვის მივდივართ, მანამდე გაგვიმარჯვას. მღვრიემდე გაგვიმარჯვას! - თქვა მოხევემ და ჯიხვის რქა მოიყუდა.

ერთ წუთს სიჩუმე ჩამოვარდა.

მერე მთელი ხალხი ფეხდაფეხ წამოდგა, დიდიან პატარიანად და თითქმის ერთხმად დაიძახეს:

- მღვრიემდე გაგვიმარჯოს!

იმწუთას ყველამ თვალნათლივ დაინახა, როგორ უერთდებოდა ბროლივით თეთრი ხდის წყალი მღვრიე თერგს და ცდილობდა, არ ამღვრეულიყო.

ეტყობა, უმეტესობას თავის ბავშვობა გაახსენდა და იმ თეთრად მომდინარე ნაკადულს შეადარეს იგი.

მოხევე დიდხანს არ დარჩენილა, რდგან აქეთ-იქიდან თხოვნით შეაწუხეს, კიდევ ეთქვა რაიმე სადღეგრძელო. ეს თამადის შეურაცხყოფად ჩათვალა და წასვლა ამჯობინა.

- მაპატიეთ, უნდა დაგტოვოთ, მთაჩი მეჩქარება, აუცილებლივ უნდა წავიდე, - თქვა მოხევემ, ნეფე-პატარძალს პირჯვარი გადასწერა, თვითონაც პირჯვარი გადაიწერა და საქორწილო დარბაზიდან გავიდა.

იმწუთას ნეფე-პატარძალი ხდის ბროლივით თეთრ ნაკადულს ჰგავდა.

ჩვენი ჟურნალი აბრძოლებს ჟურნალისტთა ძალის გაფართოებებას და ელის ყველა დაინტერესებული პირის გამოხმაურებას საზოგადოებრივ საწყისებზე ჟურნალთან თანამშრომლობის კუთხით.

დაგვიკავშირდით:

qartuli@satvistomo.de

ომის სხვა სახე

ომი კლავს, მაგრამ ომსაც არ ძალუძს გაანადგუროს სიყვარული, ურთიერთდახმარების სურვილი და ჰუმანურობა. კრებული სახელწოდებით „ომის სხვა სახე“ წარმოგიდგენთ არასამთავრობო ორგანიზაცია „მეგობრობის ხიდი — ქართლოსის“ მიერ შეგროვებულ ნამდვილ ისტორიებს, რომლებსაც ადგილი ჰქონდა 2008 წლის აგვისტოს ომის დროს. წიგნი გამოიცა COBERM-ის მხარდაჭერით, რომელიც წარმოადგენს ევროპის გაერთიანებისა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განვითარების პროგრამის (UNDP) ერთობლივ მექანიზმს ნდობის აღდგენისათვის კონფლიქტის შედეგად გაყოფილ საზოგადოებებს შორის. წიგნის მომზადებაში მონაწილეობდნენ: მეგი ბიბილური, თემურ ცხოვრებოვი, თამერლან თადტაევი, მარია პლიევა, ეკატერინე ლომიძე და ქეთევან კაპანაძე.

2008 წლის აგვისტოში, როდესაც სამხედრო მოქმედებები დაიწყო, „ქართლოსის“ წარმომადგენლები მოვლენათა ეპიცენტრში აღმოჩდნენ. დროებით იძულებით გადაადგილებულ პირებად იქცნენ და, შესაძლებლობის ფარგლებში, ცდილობდნენ დახმარებოდნენ თავიანთ თანასოფლელებს — მეგობრებს, მეზობლებს, ნათესავებს, და, უბრალოდ, ადამიანებს, რომლებიც შველას ითხოვდნენ. ხალხის დროებით თავშესაფრებში განთავსების, საკვები პროდუქტების, პირველადი საჭიროების საგნების განაწილებისას, უამრავი პირადი ისტორია მოისმინეს. თავიანთდა გასაოცრად, შენიშნეს, რომ მწარე, სასოწარკვეთით სავსე მოგონებების პარალელურად იყო ისტორიები, რომლებშიც კონფლიქტური მხარეების წარმომადგენლები ეხმარებოდნენ ერთმანეთს. „მაშინვე ვიფიქრეთ, რომ კარგი იქნებოდა ამ ისტორიების ჩაწერა და წიგნად გამოცემა. რამდენიმე ქართულ-ოსური შეხვედრის დროს გავუზიარეთ ეს იდეა ჩვენს ოს კოლეგებს — აღმოჩნდა, რომ მათაც ჰქონდათ სათქმელი.“ – წერენ ავტორები.

წიგნში შესულია ორი ქართველი და ორი ოსი ჟურნალისტის მიერ ოთხი თვის მანძილზე შეგროვებული 100 რეალური ისტორიიდან 40 ისტორია. ყველა ამბავი მათი მეზობლების, ნაცნობების, ახლობლების — რეალური ადამიანების რეალური ცხოვრებიდანაა.

„ზოგ შემთხვევაში დაძაბულობის არსებობა გავითვალისწინეთ და ჩვენი რესპონდენტების თხოვნით არ ვუთითებთ, ან შევცვალეთ მოვლენათა ადგილები, გმირების სახელები.

ისტორიები, ძირითადად, მეზობლებს, მეგობრებს, ნათესავებს ეხება, რომლებიც წამში ბარიკადის სხვადასხვა მხარეს აღმოჩნდნენ. რამდენიმე ისტორიაა სამხედროებზე, რომლებიც პროფესიული ვალის მოხდისას იძულებულნი გახდნენ მონაწილეობა მიეღოთ სამხედრო მოქმედებებში. ეს ისტორიები ჩვეულებრივ სოფლის მაცხოვრებლებზეა, რომლებიც უნებლიეთ ჩაერთვნენ ომის ქარცეცხლში, რომელთა ბედიც სამუდამოდ შეიცვალა, მაგრამ საკუთარ თავში იპოვეს ძალა და სიმამაცე გვერდში დადგომოდნენ ერთმანეთს და დახმარების ხელი გაეწვდინათ ერთმანეთისთვის.

მიუხედავად იმისა, რომ ყოველი ისტორია საკმაოდ განსხვავდება ერთმანეთისგან, მათ ერთი მთავარი მსგავსება აქვთ – ის, რომ ამ ომშიც აღმოჩნდა ადგილი კეთილი საქმეებისთვის, მეგობრობისთვის და ურთიერთდახმარებისთვის.

ჟურნალის რედაქცია დიდ მადლობას უხდის პროექტის ავტორს, ორგანიზაცია „მეგობრობის ხიდი — ქართლოსის“ ხელმძღვანელს ქალბატონ მეგი ბიბილურს ისტორიების მოწოდებისათვის, რომელთაც ჟურნალის მომდევნო ნომრებშიც შემოგთავაზებთ.

მცხეთელი

ის ზედამხედველი ჩემი მოყვასია
და მისი კარგად ყოფნისთვის ლოცულობ.

2008 წლის აგვისტოში, როდესაც ცხინვალის რეგიონში ომი მძვინვარებდა, ქალაქის წინასწარი დაკავების იზოლატორში ტევა აღარ იყო. მალ-მალე მოჰყავდათ დატყვევებული მშვიდობიანი ქართველი მოსახლეობა. მათ შორის, ხანდაზმული წყვილებიც. ქალები უფრო მედგრად იდგნენ. მამაკაცებს, განსაკუთრებით ჰიპერტონიით და გულით დაავადებულებს, აუტანელი სიცხის, ძალადობისა და დამცირების გაძლება უჭირდათ. მეუღლესთან ერთად ლუიზა ნასუაშვილიც იზოლატორში მოხვდა.
დღესაც ცრემლიანი იხსენებს მშობლიურ ცხინვალს...

ლუიზა ცხინვალში ცხოვრობდა 1991 წლამდე, მანამ, სანამ პირველად ჩამოვარდებოდა შუღლი ქართველებს და ოსებს შორის. არეულობამ აიძულა საცხოვრებლად თამარაშენში გადასულიყო, თუმცა, ქალაქთან კავშირი არ გაუწყვეტია და ბუღალტრად მუშაობდა ქარხანაში. ერთ ხანს შიშობდა, ვაითუ ამ დაპირისპირების გამო, როგორც ქართველი, სამსახურიდან დამითხოვონო, მაგრამ მისი შიში უსაფუძვლო აღმოჩნდა, ცხინვალში მას არავინ სდევნიდა.

„2008 წლის აგვისტოშიც ვერ დავტოვე სახლი. უკიდურესად მძიმე მდგომარეობა იყო, მაგრამ სად წავიდოდი? შინ მაღალწნევიანი, ავადმყოფი მეუღლე მყავდა. ვფიქრობდი, რომ მშვიდობიან მოსახლეობას არავინ დაარბევდა, არ შეავიწროვებდა. სამწუხაროდ, მოვლენები ტრაგიკულად განვითარდა.

10 აგვისტოს სახლში ოსი ეროვნების მებრძოლები მოგვადგნენ. მე და ჩემი მეუღლე იარაღის მუქარით წაგვიყვანეს ცხინვალის წინასწარი დაკავების იზოლატორში. ქმარი ხელში მაკვდებოდა. ნერვიულობის გამო წნევამ აუწია. მდგომარეობა თანდათან მძიმდებოდა, სასწრაფოდ სჭირდებოდა წნევის წამალი. გამოსავალს ამაოდ ვეძებდი. იქ ისეთი მძიმე სიტუაცია იყო, რომ დახმარებას ვერავის სთხოვდი. დანარჩენი პატიმრები უარეს მდგომარეობაში იყვნენ. ხალხი საკნიდან გამოჰყავდათ და ფიზიკურად უსწორდებოდნენ. ჩვენ არავინ გვეხებოდა და მეშინოდა, რომ წამალს თუ მოვითხოვდი, ამით ყურადღებას მივიქცევდი.

თუმცა, როდესაც ჩემი მეუღლის ჯანმრთელობის მდგომარეობამ კრიტიკულ ზღვარს მიაღწია, ვიფიქრე, რომ მალვას აზრი აღარ ჰქონდა. გავბედე და ზედამხედველს წამალი ვთხოვე. ზიზღით შემომხედა, ყვირილი დამიწყო, სასწრაფო დახმარების მანქანას გამოგიძახებ, არ გინდაო? რა მეფიქრა, რა მექნა, აღარ ვიცოდი, ქმარი კი ხელიდან მეცლებოდა.

ცოტა ხანში ამ ზედამხედველმა უხეშად მიმიხმო. შეშინებული მივუახლოვდი და კინაღამ დავმუნჯდი — ერთი ფირფიტა წნევის დამწევი ძლიერმოქმედი წამალი მომცა. სანამ ვიცოცხლებ, სულ მემახსოვრება იმ კაცის სახე, წამალს რომ მაძლევდა, თვალებში არ მიყურებდა, მერე იარაღი მომიქნია და მიყვირა, გავსულიყავი. სასწრაფოდ გამოვბრუნდი და მეუღლე გულში ჩავიკარი. ვტიროდი, სიხარულისგან ვტიროდი. ქმარიც გადამირჩა და ომში ადამიანობის გამოვლინების მომსწრეც გავხდი. მიხაროდა, რომ ომმა ზედამხედველში სათნოებისა და სიკეთის კეთების უნარი ვერ წაშალა. თურმე, სხვების დასანახად მექცეოდა უხეშად. რომ არა იმ კაცის გულისხმიერება, მეუღლე დაიღუპებოდა.

ის ზედამხედველი ჩემი მოყვასია და მისი კარგად ყოფნისთვის დღემდე ვლოცულობ. წარმოიდგინეთ, ღედამიწა ასეთი ადამიანებისგან რომ დაიცალოს, მაშინ ყველა ომი იმაზე უფრო მეტი ბოროტება იქნება, ვიდრე არის. ამ ამბის მერე სულ ვფიქრობ, რომ ეს ომი ჩვენი საერთო ტკივილია...“

დედა ხელოვნება

Спасибо матушка,
мой Ангел Хранитель!

2008 წლის 11 აგვისტო გათენდა. გიორგის ოჯახში არაფერი იცოდნენ მისი ადგილსამყოფელის შესახებ. მშობლებმა წინა საღამოს მხოლოდ ის გაიგეს, რომ მათი ვაჟის ბატალიონის ერთი ნაწილი საარტილერიო დაბომბვაში მოჰყვა. ამაოდ რეკავდნენ ტელეფონზე, დაკავშირება ვერ ხერხდებოდა. შუაღამისას მოვიდა შეტყობინება: „დედა, ცოცხალი ვარ. არ ინერვიულო“. ამის მერე დედამ თვალი ვეღარ მოხუჭა. ცდილობდა, ცუდზე არ ეფიქრა, მაგრამ რატომღაც ეჩვენებოდა, რომ გიორგი დაჭრილი იყო და სადღაც აფარებდა თავს. რა აღარ წარმოიდგინა, მაგრამ იმედი ჰქონდა, რომ თუ გიორგი მართლა დაჭრილი იყო, ვიღაცას უნდა გადაერჩინა. ის ვიღაც, შესაძლოა, მოწინააღმდეგის დედა, და, შეეკარებული, ან სულაც ცოლი ყოფილიყო.

„მეც ხომ ასე მოვიქცეოდი დაჭრილი ადამიანი, ან ჯარისკაცი რომ მენახა? მაგრამ მე ხომ ექიმი ვარ, გიორგის თუ ექიმი არ შეხვდება, ვინ უპატრონებს?“ — ასეთ ფიქრებში, როგორც იქნა, დაათენდა.

გამთენიისას კარზე სუსტი კაკუნი მოესმა. ჯერ შეკრთა, მალე დამშვიდდა, მომხდური კაკუნით არ ეახლებოდა. მეზობელიაო, გაიფიქრა და კიბეზე ფეხაკრეფით ჩავიდა. სამზარეულოს კარს მეზობელი ნუნუ მიყრდნობოდა, წნევა გამიზომე, მთელი ღამე არ მიძინიაო, სთხოვა და ჩამოჯდა. ნუნუ მოუყვა, როგორ არ დააძინა რუსი ჯარისკაცის გმინვამ. მისი სახლის გვერდით, ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიასთან დაბანაკებულიყვნენ რუსები. ერთ-ერთი ჯარისკაცი მძიმედ ყოფილა დაჭრილი. „არ ვიცი რა სჭირს, მაგრამ მისი კვნესა გულს მიკლავს, ვერაფრით დავიძინე. ეტყობა, ძალიან ახალგაზრდაა, საწყალი. გამუდმებით დედას უხმობდა, მგონი, ბოდავდა კიდეც,“ — ამბობდა ნუნუ.

მიუხედავად იმისა, რომ შიშის ქვეშ მყოფი, სოფლად დარჩენილი მოსახლეობა გარეთ გასვლას ძლივს ბედავდა, ამბები მაინც სწრაფად ვრცელდებოდა. სოფელში ჯარი იდგა, მაგრამ „დაუპატიჟებელ სტუმრებს“ ხალხი არ აუწიოკებია. ნაშუადღევს სოფლის მაღაზიაში ერთ-ერთი ჯარისკაცი გამოჩნდა და დაჭრილი თანამებრძოლისთვის დახმარება ითხოვა. „დაზიანებულ ფეხზე ავადმყოფს ანთება განუვითარდა, ტემპერატურამ აუწია, ვერაფერს ვხდებით, ხელში გვაკვდება, იქნებ გვიშველოთ“, — ითხოვდა მაღალი, ქერა ჯარისკაცი. მაღაზიაში მყოფი ოთხი ქალი და ორიც სამოცდაათსგადაცილებული კაცი მდუმარედ უყურებდა გადამთიელს.

- ჰმ, რას მოვესწარით, მტერი გვთხოვს გადაგვარჩინეო, — თქვა ერთმა.

- მტერი რათა, კაცო, ადამიანის შვილია, — შეეკამათა მეორე.

დინჯად დაიწყეს ბჭობა, შიშობდნენ, რომ დავეხმაროთ, ვაითუ მოწინააღმდეგის ჯარისკაცის გადარჩენის გამო ვინმემ დაგვსაჯოს, არადა, კაცი კვდება, ვინც არ უნდა იყოს, ადამიანის შვილია, ღმერთისგან გაჩენილიო. ამ ბჭობაში იყვნენ, მაღაზიაში გიორგის დედა რომ შევიდა...

დაჭრილი ექიმის სახლში მიიყვანეს, გიორგის საწოლზე დააწვინეს. ქალს ღამე აკვიატებული ფიქრები გაახსენდა. დაჭრილს დაჩირქებული იარა დაუმუშავა. ცოტაც და განგრენა დაეწყებოდა. შემდეგ წამლებიც მისცა და კუთხეში მიყუჟულ მის თანამებრძოლებს სთხოვა, მეორე დღესაც მიეყვანათ შესახვევად. დაჭრილმა ქალს ხელზე აკოცა.

- Спасибо матушка, мой Ангел Хранитель! — თქვა ბიჭმა და ცრემლი გადმოუგორდა თვალიდან. ქალმა სახე აარიდა და ოთახიდან გავიდა. დაჭრილი ათი დღე დაჰყავდათ შეხვევებზე. იგი სრულად გამოჯანმრთელდა. მეთერთმეტე დღეს ნაწილმა სოფელი დატოვა. თითქოს ფეხაკრეფით, უხმაუროდ დატოვეს ქართული დასახლება.

ჯარისკაცთაგან ერთ-ერთი კოლონას ჩამორჩა. ორსართულიანი სახლის ძველ ჭიშკართან შეჩერდა და გაუბედავად შეაღო კარი. ეზოში წინსაფარაფარებული დიასახლისი ფუსფუსებდა. მიუახლოვდა და დაუჩოქა. ხელი მოჰკიდა ქალის ხელს და ლოყა დაადო. „მადლობა, დედა“, ამჯერად ქართულად უთხრა ჯარისკაცმა. ქალი გაუბედავი ღიმილით უყურებდა მის აცრემლებულ თვალებს. ჯარისკაცი ტიროდა... თავზე გადაუსვა ბიჭს ხელი, ასაკით გიორგიზე ბევრად პატარა იქნებოდა. ამ ხნის განმავლობაში მისთვის არც წლოვანება უკითხავს, არც სახელი.

- მადლობა, დედა, იმისთვის, რომ სიცოცხლე მაჩუქეთ.

- ის გავაკეთე, რაც შევძელი, შვილო... ეს ჩემი ვალი იყო...

- ომი არ ცნობს დედას, სამწუხაროდ, არც ექიმს, ომი კლავს ყველას. ალბათ, მეც მოვკალი, მაპატიეთ, ყოველთვის მემახსოვრება, რომ ქართველმა ქალმა, რომელსაც, შესაძლოა, ვინმეც კი მოვუკალით, ოჯახში დაბრუნების და შვილების მოფერების ბედნიერება მაჩუქა. უფალი გფარავდეთ თქვენ და თქვენს ოჯახს...

- ჩემი შვილიც ჯარისკაცია. ის სამშობლოსთვის იბრძვის. ახლა სადაა და როგორაა არ ვიცი. შენ რომ გმკურნალობდი, მეგონა მას ვუვლიდი. იქნებ ჩემს გიორგისაც სჭირდება შველა... ჯარისკაცი წამოდგა. სანამ თვალს მიეფარებოდა, რამდენჯერმე გამოხედა გადამრჩენელს.

- ეჰ, ომი, ომი... — ჩაილაპარაკა ქალმა, ფიქრებში წასულმა ხელი აიქნია, თითქოს ცუდ აზრს იშორებსო თავიდან და ხეივნიდან ჩამოცვენილი ვაზის ფოთლების დაგვა განაგრძო...

- ამ ფოთლებს გაჰყვეს ჩვენი ტკივილები, ავი ფიქრები, ჩემი ბიჭი დამიბრუნე მშვიდობით, ღმერთო, — ბუტბუტებდა ქალი.

გერმანიის ქართული სათვისტომოს თასი

ქართული საქალაქთაშორისო ტურნირი მინი-ფეხბურთში

გერმანიის ქართული სათვისტომოს ინიციატივით, ამა წლის 24 ივნისს, კვირას, ქალაქ შტუტგარტში უკვე მეორედ გაიმართება ქართული ტურნირი მინი-ფეხბურთში. ტურნირი პირველად 2011 წელს ჩატარდა და მასში მონაწილეობა შვიდმა ქართულმა გუნდმა მიიღო. იგი მიზნად ისახავს გერმანიის სხვადასხვა ქალაქებში მიმოფანტული ქართველების გაცნობა-დამეგობრებას.

ტურნირში მონაწილეობის მიღება შეუძლია გერმანიის ნებისმიერ ქალაქში მცხოვრები ქართველებისაგან დაკომპლექტებულ გუნდს. გუნდი უნდა შედგებოდეს სულ ცოტა 5 მოთამაშისაგან მეკარის ჩათვლით (სათადარიგო მოთამაშეების რაოდენობა შეზღუდული არ არის). დაიშვებიან მხოლოდ მოთამაშეები 16 წელს ზემოთ.

10-წუთიანი მატჩები გაიმართება დარბაზში ხელოვნური საფარის მოედანზე. თამაშებს ჩაატარებენ პროფესიონალი მსაჯები. გამარჯვებულ გუნდს გადაეცემა გერმანიის ქართული სათვისტომოს გარდამავალი თასი, რომლის ამჟამინდელი მფლობელია გასული წლის გამარჯვებული - „გაერთიანებული საქართველო“ (შტუტგარტი).

შენატანის ოდენობა გუნდზე შეადგენს 90 ევროს. გულშემატკივართა დასწრება უფასოა.

დასაწყისი 14:00 საათზე.

ტურნირში მონაწილეობის მიღების მსურველებმა, გთხოვთ, გამოგვიგზავნოთ დაგვიკავშირდეთ 3 ივნისამდე შემდეგ მისამართზე:

iverieli@satvistomo.de.

დამატებითი ინფორმაციისათვის შეგიძლიათ მოგვმართოთ ტელეფონზე: 0179 / 54 94 848 (გიორგი უმიკაშვილი).

სპორტი აერთიანებსო ნათქვამია, ეს ტურნირი სამშობლოს მოშორებული ქართველების გაერთიანების ჩვენეული მცდელობაა!

ველით თქვენს გამოხმაურებას!

და ქრისტე აღსდგა მაშინ ჩემს გულში

...იმ ცივ, დაწყევლილ, ნისლიან-ბურუსიან ქვეყანაში დავკარგე სიყმაწვილე, იმედი, სულის სიმშვიდე, თვალების ელვარება, აღტაცება, სიყვარული და სიძულვილი. ლანდივით დავდიოდი მიდამოთა შორის, სადაც ერთხელ ყოველი ბალახი ჩემთვის ამოდიოდა და ყოველი კუკური ნეტარებით მათრობდა.

ხეებს ფოთლები უკვე თხუთმეტჯერ გამოეცვალა და ჩემი სურათი სრულიად დავიწყებოდა. წინათ, მათ ჩრდილში რომ შევაფარებდი თავს, ფოთლები საიდუმლოებას მზის სხივებისას ჩამფუჩუნებდა და ჩიტები გულის ნადებს მიჭიკჭიკებდენ. ახლა კი ველარ გავიგე მათი საუბარი. შრიალი ღრიალად მეჩვენებოდა და სტვენა ბულბულის - მამლის ყივილად. ერთი მე ვიყავ ყველასათვის უცხო, უსარგებლო. ქრისტე, მართლაც, ჯვარცმული იყო ჩემს გულში.

აღდგომის წინა ღამე დადგა. არავინ მყავდა არც მოსალოცავი, არც სანახავი; არც გასახსენებლად მივეშურებოდი სადმე. გადავდიოდი ერთი ქუჩიდან მეორე ქუჩაზე; ვშინჯავდი მტვერს; დიდხანს ვაცქერდებოდი ზოგიერთ გამვლელს; შევყურებდი მოწმენდილს ცას და კლაკვნით მიმდინარე რიონს. უმიზნო ხეტიალმა მთაზე ამიყვანა. ძველებურადვე მოღუშული ბაგრატის ტაძრის ნანგრევები გადამეღობა წინ. ვარსკვლავებით მოჭედილ ცის ლიტანიას შეუერთდა ლიტანია ქვეყნად და ცეცხლის წერტილები ორკეცად აციმციმდა. საზარი იყო ჯვარცმული ერის მხიარული ღაღადისი ჯვარცმული ქრისტეს აღდგომის გამო. თვალი მოვერიდე.

გავყევი კედელს. მივარდნილს ადგილს ვიღაცა დაყრდნობოდა ნანგრევს და ლოცულობდა. გულმხურვალი და ჩუმი იყო ლოცვა; სახეს ვერ ვხედავდი მლოცველისას, მაგრამ მთელი სხეულის მოდუნება, ღრმად დახრილი თავი, გრძელი ლონდეთ დაშვებული თმა, ხელები, რომელითაც კედელს მიყრდნობოდა, მიმტკიცებდა მლოცველის ტანჯვას, სასოებას და იმედს. ორიოდე მის სიტყვას მოვკარ ყური:

„ღმერთო, აღადგინე... ღმერთო, მკვდრეთით აღადგინე ერი და მიეც ძალა და სიმხნე!“

მეც ნელ-ნელა დავეშვი მუხლებზე. იმედის შუქმა გააპო მკერდი...
და ქრისტე აღსდგა მაშინ ჩემს გულში.

1910 წ
ნიკო ლორთქიფანიძე.

ეროთალ დიცინოთ

რად გინდათ კაბინეტში აკვარიუმი? – ჰკითხეს წარმატებულ ბიზნესმენს.
– მომენატრა არსება, რომელიც ჰირს იმიტომ არ აღებს, რომ ფული მთხოვოს.

* * *

ღელვის დროს მგზავრი მივა კაბიტანთან და ეკითხება:
– რა მანძილზეა უახლოესი მიწა?
– ორ მილში.
მგზავრს გაუხარდება და კიდევ ეკითხება:
– მარჯვნივ თუ მარცხნივ?
– ქვემოთ... მიუგო კაბიტანმა.

* * *

კლიენტი ბარმენს:
– თქვენ რა, აქ ანონიმი ალკოჰოლიკების კლუბი გახსენით?
– საიდან დაასკვენით?
– სახეზე ვარავის ეცნობ.

* * *

ფესტივალის შაღალიაში ბატონი გამეიდვილთან მივიდა და ეკრში უჩურჩულა:
– რაში ხაქმე, რატომ არ ეხმარებით იმ კლიენტს, რამდენი ხანია ფესტივალი ვერ აურჩევია.
– მმიმე შემთხვევაა, შეფ – ამოიოხრა გამეიდვილმა, – მუსიკოსია და ერთ ტონალობაში რომ ჭრიჭინებებს ისეთი ფესტივალის ეიდვა ხურს.

სამი სტუდენტი აბარებს გამოცდას.
ერთი "ბლატით", მეორე ჰატარათი, მესამე კი – საერთოდ "უბლატოდ".
ეკითხებიან ჰირველს:
– რომელ ქვეყანაში ჩამოაგდეს ატომური ბომბი?
– იაპონიაში.
– ხუთიანი!
ეკითხებიან მეორეს:
– რომელ ქვეყანაში ჩამოაგდეს ატომური ბომბი?
–იაპონიაში.
– რომელ წელს?
– 1945 წელს.
– ხუთიანი!
მესამეს იგივეს ეკითხებიან და უმატებენ:
– რომელ ქალაქში?
– ხიროსიმაში.
– რამდენი დაიღუბა?
– ორასოთხმოცდათხუტმეტი ათასი.
– ...გვარები ჩამოგვითვალეთ!

* * *

ძოვრალი ბამაკაცი ავტობუსში ასვლას ცდილობს. მგზავრებმა სიცილი დააყარეს:
– იცინეთ, იცინეთ... – გაბრაზდა მთვრალი, – ვნახოთ ბოლოს ვინ გაიცინებს: მე ავტობუსის მძღოლი ვარ!...

გერმანიის ქართული სათვისტომოს ყოველწლიური გამოიცემა 2005 წლის ოქტომბრიდან

Zeitschrift des Georgischen Vereins in Deutschland e.V.
Herausgegeben seit Oktober 2005

დამფუძნებელ-გამომცემელი:
ბუნდესრეპუბლიკის ქართული სათვისტომო
სათვისტომოს თავმჯდომარე: ლეონ დათაშვილი

სარედაქციო ჯგუფი:
ნინო ხაბელაშვილი (მთ. რედაქტორი)
თინათინ ჩითინაშვილი (რედაქტორი)
ნინო დალაქიშვილი
ნინო ცხომელიძე-დეპპერშმიდტი
ეკატერინე ცირიკაშვილი

ISSN 1868-6591

რედაქციის მისამართი:

Georgischer Verein in
Deutschland e.V.
c/o Leri Datashvili
Roemerhofweg 51c
85748 Garching b. MŠnchen

დაგვიკავშირდით:
ტელ.: 0711/12 28 97 26
ელ. ფოსტა: qartuli@satvistomo.de